

პოლონეთში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა
A3



დეპუტატის ყოფილი მეუღლის ბედი, შესაძლოა, დღეს გადაწყდეს
A5



პრესომბუდსმენი
A8


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 10 ოქტომბერი, 2005 წელი. №224 (1084)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### აეროპორტის მშენებლობა, ნოემბრის ბოლოს დაიწყება

თბილისის აეროპორტის პარალელურად განხორციელდება ბათუმის აეროპორტის რეკონსტრუქციაც, რაც დამატებით 15 მილიონ დოლარს საჭიროებს.

A2

## ამბები

### აზია დახმარებას ითხოვს



პაკისტანში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 30 ათასს მიაღწია, ხოლო დაშავებულთა რაოდენობამ 42 ათასს გადააჭარბა.

A3

## ეკონომიკა

### „ბათუმის გემთსაშენ ქარხანაზე„ აუქციონი გამოცხადდა

შპს "ბათუმის გემთსაშენი ქარხნის" საწყისი გასაყიდი ფასი კვლავ 7 700 000 დოლარია.
აღნიშნული ობიექტი 100 პროცენტით სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს და ის მთლიანად იყიდება.

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 10/10 | 11 /10 |
|---|---|---|
| თბილისი | 19 | 19 |
| ყვიბული | 21 | 22 |
| სოხუმი | 19 | 22 |
| დმანისი | 15 | 16 |
| გორი | 16 | 17 |
| ონი | 12 | 15 |
| ზუგდიდი | 22 | 27 |
| ახმეტა | 19 | 19 |
| გაგრა | 16 | 20 |
| სამტრედია | 21 | 25 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8025 |
| ევრო | 2.1924 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1924 |
| რუბლი | 0.0633 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| ამბები | A 4 |
| სამართალი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| პრესომბუდსმენი | A 8 |


# შავნაბადას ბატალიონი ერაყიდან დაბრუნდა



დანაყოფი საქართველოში სრული შემადგენლობით დაბრუნდა.

ვაზიანის სამხედრო ბაზაზე, გუშინ, ერაყში მოქმედი პირველი ქვეითი ბრიგადის - შავნაბადას ბატალიონის დაბრუნება საზეიმოდ აღნიშნეს.

ცერემონიას საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი და აშშ-ს ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი დაესწრნენ.

558 სამხედრო მოსამსახურით დაკომპლექტებული დანაყოფი, რომელსაც კაპიტანი გიორგი შენგელია ხელმძღვანელობდა, ქალაქ ბაღდადში სამხედრო მისიას ასრულებდა. დანაყოფი საქართველოდან შვიდი თვის წინ გაემგზავრა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ბრძოლა იპოდრომისათვის

### საპროტესტო აქციებში ოპოზიციონერი პოლიტიკოსებიც ჩაერთვნენ

თამარ დვალი

*"ნუ გავაკეთებთ ფულს იპოდრომის ხარჯზე", "გავუფრთხილდეთ ჩვენს ქალაქს," – ასეთია იმ ადამიანთა პოზიცია, ვინც გუშინ იპოდრომის ტერიტორიაზე საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მონაწილეებმა იპოდრომზე მოსალოდნელი მშენებლობების შესაჩერებლად ხელმოწერების შეგროვებაც დაიწყეს. აქციაზე მისული ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლის, "კონსერვატორ" კობა დავითაშვილის განცხადებით, იპოდრომის გასხვისების საკითხს პარლამენტარი გივი თარგამაძე ლობირებს.*

გაგრძელება A3 გვერდზე



საპროტესტო აქცია იპოდრომზე.

# უსახელონი





A6

საქართველოს ნაკრებმა კიდევ ერთი უსახური თამაში ითამაშა.

# წარმატება თუ საშიში ტენდენცია?

*აფხაზეთის პარლამენტი სამხრეთ რუსეთის საკანონმდებლო კრებათა ასოციაციის ასოცირებული წევრი გახდა. ამ ორგანიზაციაში აფხაზეთის პარლამენტის სათათბირო ხმის უფლებით მიღებას ასოციაციის წარმომადგენლებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი. ამ "საგარეო პოლიტიკურმა ინიციატივამ" სოხუმში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია.*

ენვერ კუპრავა
*სოხუმიდან*

ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ აფხაზეთის პარლამენტი სამხრეთ რუსეთის საკანონმდებლო კრებათა ასოციაციაში დამკვირვებლის სტატუსით მიიღეს, დაგვიანებით გავრცელდა. ბევრი ამ ნაბიჯს საშიშ ტენდენციად აფასებს, რომელიც რუსეთის ადმინისტრაციულ სივრცეში აფხაზეთის სახელმწიფო ორგანოების შეყვანას გულისხმობს. ამასთან, აფხაზეთის საინფორმაციო საშუალებებმა, რომლებიც ოფიციალურ თვალსაზრისს ასახავენ, ეს მოვლენა წარმოაჩინეს, როგორც "გარღვევა აფხაზეთის ხელისუფლების ორგანოების ლეგიტიმურობის აღიარების საკითხში." ოფიციალური ვერსიით, სამხრეთ რუსეთის საკანონმდებლო კრებათა ასოციაციაში აფხაზეთის პარლამენტის მიღება სერიოზული საგარეო პოლიტიკური წარმატებაა.

სხვა მოსაზრება აქვთ დამოუკიდებელ დამკვირვებლებს. მათი აზრით, საგარეო პოლიტიკური წარმატება იქნებოდა აფხაზეთის პარლამენტის შესვლა ნებისმიერ სახელმწიფოთაშორისო საპარლამენტო გაერთიანებაში, მაგრამ არა - რუსეთის საკანონმდებლო კრებათა ასოციაციაში.

**"მთელი მსოფლიოს თვალში ეს გამოიყურება, როგორც რუსეთის შემადგენლობაში შესვლისკენ აფხაზეთის სწრაფვა, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ასეთი ნაბიჯი რუსეთის მითითებით გადაიდგა. უფრო სავარაუდოა, რომ საგარეო პოლიტიკურ საკითხებში აფხაზეთის პარლამენტის ხელმძღვანელობის არაკომპეტენტურობასთან გვაქვს საქმე. სრული აბსურდია, როდესაც დამოუკიდებელი ქვეყნის პარლამენტი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შედის მის შიდა საპარლამენტო ასოციაციაში და ეს წარმოჩინდება, როგორც აღიარება საერთაშორისო არენაზე,"** - აცხადებს ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ავიაკომპანიების „შავი სია"

### მსოფლიო ავიაცია კრიზისს განიცდის

*უილიამ ბოინგმა "ბოინგის" მარკის გიგანტური თვითმფრინავის მშენებლობა 1903 წელს დაიწყო. დღემდე კომპანიამ მსოფლიო სამოქალაქო, სამხედრო და კოსმოსური საჰაერო ხომალდების ბაზრის 80 პროცენტის დაკავება შეძლო. 2005 წელი "ბოინგის" იმიჯისთვის ყველაზე მძიმე გახლდათ 70-იანი წლების შემდეგ. ერთმანეთს მიყოლებულმა ავიაკატასტროფებმა არათუ კომპანიის, არამედ ზოგადად, ავიაგადაზიდვების უსაფრთხოების საკითხი ეჭვქვეშ დააყენა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მსოფლიოს დიდი ნაწილი ავიაგადამზიდავების გარკვეულ ნაწილს ფრენას უკრძალავს. შედის თუ არა ევროგაერთიანების მიერ შედგენილ შავ სიაში ქართული ავიაკომპანიები და, საერთოდ, რა ადგილი უკავია ქართულ ავიაციას მსოფლიო საჰაერო სივრცეში?*

ოთარ ქირია

მსოფლიოს უმსხვილესი ავიაკატასტროფა 1978 წელს მოხდა, როცა იაპონური ავიახაზების რეისის უდროოდ დასრულებამ ხუთასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. 1972 წელს კი სამასამდე ადამიანი დაიღუპა ბრიტანეთის ავიახაზების ერთ-ერთი თვითმფრინავის ჩამოვარდნის შედეგად.

მსგავსი მასშტაბების ავიაკატასტროფა მსოფლიოს არ ახსოვს, 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებს თუ არ ჩავთვლით. თუმცა, მაშინ 2.986 ადამიანი "ალ-ქაიდას", და არა ავიაკატასტროფებს, შეეწირა.

მიუხედავად ამისა, 11 სექტემბერი მსოფლიო ავიაციისთვის მაინც ფატალური აღმოჩნდა. გაკოტრდა ამერიკული US Airways და NorthWest, დაიხურა ათობით ადგილობრივი წვრილი ავიაკომპანია. ეს ტალღა მოგვიანებით ევროპასაც გადაედო.

გაგრძელება A2 გვერდზე

# საქართველოში ინვესტიციების მოცულობას BP-ს საქმიანობა განსაზღვრავს

*წელს, შარშანდელთან შედარებით, პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ მნიშვნელოვნად იკლო. ეს ოფიციალური ინფორმაციაა, რომელსაც სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ავრცელებს. ინვესტიციების მოცულობის შემცირებას დეპარტამენტში, ძირითადად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დასრულებით ხსნიან.*

მარიამ ჭაჭვაძე

საუკუნის პროექტად წოდებული მილსადენის მშენებლობა თითქმის უკვე დასრულებულია. ნავთობმა საქართველოს ტერიტორიას ამ რამდენიმე დღის წინ მოაღწია და როგორც მილსადენის მშენებელი კომპანიის - BP-ს ოფისში აცხადებენ, ნავთობის პირველი ნაკადი თურქეთის ტერიტორიას ნოემბრამდე გადაკვეთს. მილსადენის საქართველოს მონაკვეთის მშენებლობის დასრულებისადმი მიძღვნილი ოფიციალური საზეიმო ღონისძიება 12 ოქტომბერს გარდაბანში, პირველ საქაჩ სადგურთან გაიმართება. მანამდე კი, BP-ს ხელმძღვანელები საქართველოში ჩატარებული სამუშაოების ანგარიშს აქვეყნებენ და იმაზე საუბრობენ, თუ მომავალ წლებში საქართველოს ბიუჯეტი ხსენებული მილსადენიდან რამდენ მილიონ დოლარს მიიღებს.

BP-ს საქართველოს ხელმძღვანელმა რიფ დიგინსმა განაცხადა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენიდან ნავთობის ტრანზიტისათვის საქართველოს ბიუჯეტი წელიწადში დაახლოებით 50 მილიონ აშშ დოლარს მიიღებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# საქართველოში ინვესტიციების მოცულობას BP-ს საქმიანობა განსაზღვრავს

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის მშენებლობას, ის, როგორც რიფ დიგინსმა განცხადა, მომავალი წლის შემოდგომაზე დასრულდება და დაახლოებით ოქტომბრის ბოლოს ამოქმედდება. მისივე ინფორმაციით, ამ გაზსადენიდნ საქართველო ყოველწლიურად 0.8 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მიიღებს, ეს კი ჩვენს ქვეყანაში გაზის მოხმარების თითქმის 70 პროცენტს შეადგენს. გარდა ამისა, სამხრეთ კავკასიური გაზსადენიდან ბუნებრივი აირის ტრანზიტის სანაცვლოდ, საქართველოს ბიუჯეტი 2007 წლიდან ყოველწლიურად 20 მილიონ აშშ დოლარს მიიღებს. **"საქართველოს მთავრობისათვის "შაჰდენიზი ერზრუმის" გაზსადენს სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი რუსეთ-საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის ალტერნატივას წარმოადგენს,"** - განაცხადა რიფ დიგინსმა.

და კიდევ ერთი, რაც BP-ს საქართველოს ხელმძღვანელისგან ამ დღეებში გახდა ცნობილი – ბრიტანული ნავთობკომპანია BP საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციას მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციისათვის უახლოეს მომავალში ტექნიკურ დახამრებას აღმოუჩენს. რიფ დიგინსის თქმით, მილენიუმის პროგრამის ამოქმედებამდე BP კორპორაციას მაგისტრალური მილსადენების რეაბილიტაციის გეგმის შემუშავებაში ფინანსურად დაეხმარება. **"ჩვენ უკვე გავაფორმეთ გაზის საერთაშორისო კორპორაციასთან შესაბამისი ხელშეკრულება, რომლის თანახმად, BP კორპორაციას მმართველობის საკითხებში დახმარებას აღმოუჩენს. მაგისტრალური გაზსადენი წინასწარ შემოწმდება და მილენიუმის პროგრამის დაწყებამდე დაიდება დეტალური გეგმა, როგორ უნდა შეკეთდეს გასზადენი,"** - განაცხადა დიგინსმა.

ცნობისათვის: ორივე მილსადენის მშენებლობაზე ამ დროისთვის ბრიტანულ ნავთობკომპანიას 1 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი აქვს დახარჯული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის დასრულებამ ჩვენს ქვეყანაში პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა შეამცირა. ამ შემთხვევაში ინვესტიციების კლება აშკარად თვალშისაცემია. ამას ის უბრალო სტატისტიკური მონაცემები მოწმობს, რომელიც დეპარტამენტის ყოველკვარტალურ ანგარიშშია მოცემული. 2005 წლის პირველ ნახევარში პირდაპირმა ინვესტიციებმა 194 მილიონ 900 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, მაშინ, როცა გასული წლის შესაბამის პერიოდში 238 მილიონ 600 ათას აშშ დოლარს აღწევდა. ინვესტიციების თითქმის 44-მილიონიან ანუ 19-პროცენტიან კლებას ხელისუფლებაში პრივატიზაციის გაჭიანურებული პროცესითაც ხსნიან. აი, რა განუცხადეს ერთ-ერთ საინფორმაციო სააგენტოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში: **"ქვეყანაში პრივატიზაციის პროცესიც გარკვეული შეფერხებებით მიმდინარეობს. არის შემთხვევები, როდესაც მსხვილი ობიექტის მყიდველი უცხოური ფირმები და ორგანიზაციები უკვე შეთანხმებული თანხის გადახდას ვერ ახერხებენ, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ინვესტიციების მოცულობაზე."**

ცნობისათვის: პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა გასულ წელს საქართველოში ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და შაჰდენიზის გაზსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით მკვეთრად გაიზარდა და თითქმის 500 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია.

# შავნაბადას ბატალიონი ერაყიდან დაბრუნდა

პირველი გვერდიდან

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას გენერალური შტაბის უფროსმა ლევან ნიკოლეიშვილმა განაცხადა, ქართველ ჯარისკაცებს, აშშ-ს სამხედრო ძალებთან ერთად, გაერო-ს ოფისების და მასთან მდებარე პერიმეტრების დაცვა და პატრულირება ევალებოდათ.

აღნიშნული დანაყოფი საქართველოში სრული შემადგენლობით დაბრუნდა, ერთი ოფიცრის - მიხეილ ქუთათელაძის გარდა, რომელიც, როგორც ცნობილია, სამხედრო დავალების შესრულების დროს ერაყში დაიჭრა. იგი ამ დროისთვის აშშ-ში, ჰოსპიტალში მკურნალობის კურსს გადის.

ნიკოლეიშვილის ინფორმაციით, ქუთათელაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის სტაბილურია და იგი რამდენიმე დღეში ქართველ ჯარისკაცს აშშ-ში მოინახულებს.

ნიკოლეიშვილი კმაყოფილებას გამოთქვამს ბატალიონის მიერ საკუთარი მისიის შესრულებასთან დაკავშირებით და აცხადებს, რომ მათ დავალებები "ხუთიანზე შეასრულეს".

მისივე თქმით, ქუთათელაძის დაჭრას ბატალიონის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე საერთოდ არ უმოქმედია და პირიქით, ისინი უფრო აქტიურები გახდნენ.

როგორც გენერალური შტაბის უფროსი განმარტავს, საქართველოდან წასული შავნაბადას ბატალიონი იყო ერთ-ერთი საუკეთესო, თუკი ვინმე ყოფილა ერაყში და ამ ბატალიონს ჩაენაცვლება ქუთაისის 21-ე ქვეითი ბატალიონი, რომელიც ზუსტად იმავე მისიას შეასრულებს, რასაც შავნაბადას ბატალიონი ასრულებდა.



შეხვედრა აეროპორტში.

ინტერპრესნიუსი

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას აშშ-ს ელჩმა საქართველოში ჯონ ტეფტმა განაცხადა, იგი კმაყოფილია, რომ ქართული ბატალიონი საქართველოში სრული შემადგენლობით დაბრუნდა.

მისი თქმით, მათ დაკისრებული მისია წარმატებულად შეასრულეს. "ქართველები ნამდვილი ვაჟკაცები და პროფესიონალები არიან, რომლებითაც უნდა იამაყონ როგორც თავიანთი ოჯახის წევრებმა, ასევე მთელმა საქართველომ," - განაცხადა ჯონ ტეფტმა.

აშშ-ს ელჩი ქართველ ჯარისკაცებს უსურვებს, რომ მათ შესანიშნავად გაატარონ ის 30-დღიანი შვებულება, რაც მათ ნამდვილად დაიმსახურეს და თავიანთ დისლოკაციის ადგილებს დაუბრუნდნენ.

მისივე თქმით, იგი ესაუბრა ერაყიდან დაბრუნებულ ერთ-ერთ ოფიცერს, რომელმაც განაცხადა, რომ მათ ერაყში ყოფნის დროს კვალიფიკაცია საგრძნობლად აიმაღლეს.

შავნაბადას ბატალიონმა, ერაყში გამგზავრებამდე, ქართულ-ამერიკული "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა" გაიარა. გარდა ამისა, პირად შემადგენლობას დამატებითი სამშვიდობო ოპერაციების ერთთვიანი საწვრთნელი კურსი ამერიკელმა და ბრიტანელმა ინსტრუქტორებმა ჩაუტარეს. ერაყში შავნაბადას ბატალიონის ჩასვლით ქართველ სამხედროთა რიცხვი 850-მდე გაიზარდა და ერაყში შავნაბადას ბატალიონი მისიით - "ერაყის თავისუფლება" გაემგზავრა.

*ინტერპრესნიუსი*

# წარმატება თუ საშიში ტენდენცია?

პირველი გვერდიდან

ამ დროს კი, აფხაზეთის პარლამენტის ხელმძღვანელები, მასმედიისთვის გაკეთებულ კომენტარებში, ვერანაირ გაურკვევლობას ვერ ხედავენ. აფხაზეთის პარლამენტის სპიკერი ნუგზარ აშუბა აღნიშნავს, რომ ასოციაციაში გაწევრიანების იდეა აფხაზ პარლამენტარებს ეკუთვნით და ის, პირველ რიგში, სხვა სახელმწიფოს კანონმდებლებთან ურთიერთობების აუცილებლობას უკავშირდება. **"აფხაზეთის პარლამენტი მუდმივ კავშირში უნდა იყოს სხვა ქვეყნების კანონმდებლებთან. ეს აუცილებელია პროფესიული ზრდისთვის, საკანონმდებლო ტენდენციების კურსში ყოფნისთვის,"** - აცხადებს აშუბა. **"ჩვენი პარლამენტი დიდი ხნის განმავლობაში იზოლაციაში იყო და ეს მისი მუშაობის პროფესიონალიზმზე აისახა,"** - განაგრძობს აფხაზეთის პარლამენტის სპიკერი.

აშუბა ასევე კატეგორიულად უარყოფს განცხადებას მხოლოდ ერთი ვექტორის არსებობისა და მხოლოდ რუსეთის მიმართულებით საპარლამენტო თანამშრომლობის შესახებ. **"ჩვენთვის პრიორიტეტულია უფრო მაღალ დონეზე კავშირების დამყარება, მაგრამ ეს ძალიან ძნელია. ჩვენ ვეძებთ გზებს ევროპელ კანონმდებლებთან თანამშრომლობისთვის, მაგრამ ჯერჯერობით - უშედეგოდ,"** - ამტკიცებს აშუბა. მისი თქმით, აფხაზეთის პრეზიდენტმა უკვე მრავალჯერ მიიღო ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია და ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების მთავარი მიზანი იყო ამ საპარლამენტთაშორისო სტრუქტურის მუშაობაში ნებისმიერი სტატუსით მონაწილეობა. **"ჩვენ მზად ვართ, ყოველგვარი სტატუსის გარეშე გავაგზავნოთ დამკვირვებლები. ამის თაობაზე არაერთხელ ვითხოვეთ, მაგრამ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა წინააღმდეგია,"** – ამბობს აშუბა.

აფხაზი დეპუტატების აზრით, მთავარი მიზეზი იმისა, რომ აფხაზეთის პარლამენტი კონტაქტებს მხოლოდ რუს კანონმდებლებთან ამყარებს, ის არის, რომ სხვა ქვეყნების კანონმდებლები აფხაზ პარლამენტარებთან თანამშრომლობისთვის მზად არ არიან.

# ავიაკომპანიების „შავი სია"

პირველი გვერდიდან

პირველად პრობლემები Swiss Air-ს შეექმნა, რომლის თვითმფრინავმა 1998 წელს ავიაკატასტროფა განიცადა და 229 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. შვეიცარული კომპანია, რომელიც რამდენიმე ბელგიური, პოლონური და ფრანგული წვრილი ავიაკომპანიის დამფუძნებელი თავად გახლდათ, გერმანულ Lufthansa-ს შეუერთდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას გაკოტრება არ ასცდებოდა. ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდა იტალიური Alltalia. მოგვიანებით, ცნობილი გახდა, რომ ფრანგული და ჰოლანდიური გიგანტები Air France და KLM გადარჩენისთვის გაერთიანებას ამჯობინებენ. შეიქმნა ასევე ე.წ. Star Alliance – გიგანტი, რომელმაც გააერთიანა ავსტრიის ავიახაზები, რამდენიმე ამერიკული ავიაკომპანია და ევროპის ათობით გადამზიდავი. შესაძლოა, ასეთი გაერთიანებები თანხვედრია ევროგაერთიანების ნაბიჯებისა, თუმცა ავიაკომპანიები თავადვე იუწყებოდნენ, რომ გაერთიანებას ფინანსური კრიზისის გამო დათანხმდნენ.

ძირძველი ავიატორები ამბობენ ხოლმე: ეს ის დროა, როცა ცა არ გიღებს. ამ უცნაურ და, ერთი შეხედვით, გაფრენილ ფრაზაში სიმართლის მარცვალი შესაძლოა მართლაც არსებობდეს. ნებისმიერ შემთხვევაში 2005 წელი ავიაკატასტროფების რიცხვით რეკორდული აღმოჩნდა. ხუთმა ავიაკატასტროფამ უკვე დაახლოებით 700 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. აგვისტომ კი ერთდროულად ორჯერ დაამახსოვრა თავი მსოფლიოს - ვენესუელასა და საბერძნეთში.

დაიწყო პანიკა, რასაც შტატების, საფრანგეთის, ინგლისის შემდეგ ბელგიის, ჩინეთის და სხვათა უპრეცედენტო გადაწყვეტილებები მოჰყვა. შეიქმნა ავიაკომპანიების შავი სია. აღსანიშნავია, რომ ევროპის სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ უკვე დაიწყო მუშაობა ასეთ სიაზე, რომელიც ავიაკომპანიების გარკვეულ კატეგორიას არათუ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, არამედ მთელ ევროპაში აუკრძალავს ფრენას. რა თქმა უნდა, ასეთ დოკუმენტს აუცილებლად მასობრივად მოჰყვება განცხადებები გაკოტრების შესახებ. ერთი სიტყვით, სხვადასხვა დროს მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად, შავ სიაში ათობით ავიაკომპანია მოხვდა.

"ფრანგულ" სიაში მოხდნენ: Air Koryo – ჩრდილოეთ კორეა; Air Saint Thomas – აშშ; Internatinal Air Service – ლიბერია; Phuket Airlines – ტაილანდი, Air Mozambique – მოზამბიკი.

ბელგიურ შავ სიაში შევიდნენ: Africa Lines – ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, Air Memphis – ეგვიპტე, Air Van Airlines – სომხეთი, Central Air Express – კონგო, I.C.T.T.P.W. – ლიბია, International Air Tours Limited – ნიგერია, Johnsons Air Limited – განა, Silverback Cargo Freighters – რუანდა, South Airlines – უკრაინა.

"იტალიურ" შავ სიაში შევიდნენ რუსული "ყუბანი", ბულგარული Hemus Air; სამი ყაზახური ავიაკომპანია - Bgb Air, Gst Aero Aircompany და Ozu-Avia Air Company.

სხვათა შორის, ასეთი შავი სიები შემუშავებული აქვს აშშ-ს, ბრიტანეთსა და შვეიცარიასაც. საბედნიეროდ, საქართველო ამ სიაში ჯერ არ მოხვედრილა.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ საქართველო უკვე კარგა ხანია, საერთაშორისო ქსელ "ამადეუსში", კონგოსთან და განასთან ერთად, ყველაზე ბოლო კატეგორიაშია განთავსებული. "ამადეუსი" საერთაშორისო ქსელია, რომლითაც ავია-ბილეთების დაჯავშნა-შესყიდვა ხდება. თუმცა, "ამადეუსს" არამხოლოდ ბილეთების მიწოდება შუძლია, არამედ ინფორმაციისაც. მარტივად რომ ვთქვათ, იმის გამო, რომ საქართველო "ამადეუსის" ამ კატეგორიაშია განთავსებული, ქართველი მგზავრი ვერ აიღებს, მაგალითად, პარიზის ბილეთს მხოლოდ ერთი მიმართულებით. ასეთი გადაწყვეტილებები მოგვიანებით სხვა ქვეყნებმაც მიიღეს და თავიანთ აეროპორტებს დაავალეს. ამ კატეგორიაში საქართველოს მოხვედრა კი არალეგალი ქართველების სხვა ქვეყნებში კატასტროფულმა გადინებამ განაპირობა. ასევე , დაბალი ხარისხის სასაზღვრო, საბაჟო და ავია მომსახურებებმა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსოფლიო ავიაციის მარეგულირებლებმა ავიაგადაზიდვების უსაფრთხოებისთვის სტანდარტიზაციის და სერტიფიცირების ნორმები ლამის ათმაგად გააძლიერეს. შესაბამისად, ავიაკომპანიებს გაცილებით მეტი ხარჯის გაღება მოუწევთ, ვიდრე აქამდე, რაც ბუნებრივად გამოიწვევს ავიაბილეთების გაძვირებას. საერთოდ, ბოლო წლებში ავიაგადაზიდვის ტარიფები ძალიან მტკივნეული თემა გახდა და ავიაკომპანიებმა, ამ პრობლემის გამო, რეისებზე კვებაც კი ფასიანი გახადეს.

ერთი სიტყვით, ავიაკრიზისსა და ბილეთების გაძვირებაზე რამდენიმე ფატორი მოქმედებს - ზოგადი პანიკა, ნავთობის ფასების მატება, ავიაკატასტროფები, გლობალიზაცია. არადა, საჰაერო გადაზიდვების საერთაშორისო ასოციაციამ უკვე გააკეთა ინფორმაცია, რომ 2005 წელს მსოფლიო ავიაციამ 7,4 მილიარდი დოლარით იზარალა.

საქართველოში კი, სამწუხაროდ, ამ ფაქტორებს სხვა გარკვეული და გაურკვეველი ნოზოლოგიებიც ემატება – მაგალითად, ის, რომ აეროპორტის რემონტის თანხა მგზავრებმა უნდა იხადონ და ა.შ. სხვათა შორის, გასულ თვეში საქართველოში თვითმფრინავის ბილეთები დაახლოებით 20 დოლარით გაძვირდა და ამის მიზეზი აეროპორტის მოსაკრებლების გაზრდაა.

თავის დროზე, რამდენიმე ზემოხსენებული და სხვა ფაქტორებით იყო გამოწვეული "კონკორდის" ფრენების აკრძალვაც. იგლისურ-ფრანგული გიგანტის შექმნით საფრთხე "ბოინგს" შეექმნა, თუმცა "კონკორდმა" მაინც ვერ შეძლო უსაფრთხო ხომალდის სახელის დამკვიდრება და მალევე აიკრძალა. ექსპერტები კი ამბობენ, რომ მალე "კონკორდი" ისევ გახდება სასაუბრო თემა, რაც "ბოინგის" პერიოდულმა კატასტროფებმა გამოიწვია. მართალია, კომპანია "ბოინგი" აცხადებს, რომ ფრენების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ავიაკომპანიები და მათი ტექნიკური მეთვალყურეები არიან, ფაქტია, რომ ვადა "ბოინგსაც" აქვს. ამასთანავე, დღეს ძალიან აქტუალური გახდა ის ამბავიც, რომ თურმე "ბოინგის" ცვეთა დამოკიდებულია არა კილომეტრებზე, არამედ აფრენა-დაფრენის რაოდენობაზე, რაც სერიოზული კითხვის ნიშანია. გასათვალისწინებელი ისიც, რომ რუსეთმა უკვე დაიწყო ახალი "ტუ 144"-ის (ფორმით "კონკორდს" წააგავს) პოპულარიზაცია. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მსოფლიომ ის მიიღოს. "ტუ", "იაკ", "ან" და სხვა საბჭოური თუ რუსული ავიახომალდები დიდი ხანია, მსოფლიოს თვალში არ მოსდის. ასეთ ფონზე, რა თქმა უნდა, გაცილებით პოპულარული გხდება "ეარ-ბასი". მაგრამ 2005 წელს ინგლისური და გერმანულ-ფრანგული აერო-ავტობუსების მითიც დაირღვა. აგვისტოში ტორონტოში Air France-ის რეისი მეხის გამო ჩამოვარდა.

ცნობისათვის, ორიოდ დღის წინ ცნობილი გახდა, რომ გაკოტრების პირას არის მისული კიდევ ერთი ამერიკული ავიაგიგანტი "დელტა". "ამერიქან ეარლაინზის" შემდეგ, ამ კომპანიას ამერიკულ ბაზარზე მეორე ადგილი ეკავა. მისი ბედი ჯერაც გაურკვეველია.

# აეროპორტის მშენებლობა, ნოემბრის ბოლოს დაიწყება

თბილისის ახალი საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობა სავარაუდოდ, ნოემბრის ბოლოს დაიწყება. ჯერჯერობით, ტექნიკური საკითხები ზუსტდება. **"აეროპორტის მშენებლობას თურქული მენეჯმენტი უხელმძღვანელებს, ხოლო ძირითად სამუშაოებს ადგილობრივი მუშახელი შეასრულებს,"** - განუცხადეს "მედიანიუსს" აეროპორტის პრესსამსახურში. თბილისის ახალ საერთაშორისო აეროპორტს "ტავის" და "ურბანის" ერთობლივი კომპანია ააშენებს. აღნიშნულ ხელშეკრულებას ეკონომიკის სამინისტროში 2005 წლის 6 სექტემბერს მოეწერა ხელი. აეროპორტის მშენებლობაზე "ტავი" და "ურბანის" ერთობლივი კომპანია 62 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს.

თბილისის აეროპორტის პარალელურად განხორციელდება ბათუმის აეროპორტის რეკონსტრუქციაც, რაც დამატებით 15 მილიონ დოლარს საჭიროებს. გარდა ამისა, ქართული მხარე იტოვებს უფლებას, რომ თბილისის აეროპორტში თანამედროვე ტექნოლოგიების დასანერგად დამატებითი 18 მილიონი დოლარის ინვესტიცია მოითხოვოს. საერთო ჯამში "ტავის" და "ურბანის" ერთობლივი კომპანია 95 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს. აეროპორტის მშენებლობა 2006 წლის ნოემბერში დასრულდება.

*მედიანიუსი*

# მე-9 და მე-4 ენერგობლოკების ჩართვა ისევ ვერ ხერხდება

"თბილსრესის" მე-9 და მე-4 ენერგობლოკების ჩართვა, დაგეგმილის მიუხედავად, დათქმულ ვადაში ვერ ხერხდება. "მტკვარი ენერგეტიკამ" მე-9 ენერგობლოკი ენერგობალანსით გათვალისწინებულ დროს, 3 ოქტომბერს ჩართო, მაგრამ ტექნიკური ხარვეზების გამო, იგი რამდენიმე დღეში გააჩერეს. ანალოგიური ვითარებაა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მე-4 ენერგობლოკზე, რომელიც 5 ოქტომბრამდე უნდა ჩართულიყო. იმის გამო, რომ ენერგობლოკების ჩართვა დათქმულ ვადაში ვერ მოხერხდა, ელექტროენერგიაზე არსებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, "ენგურჰესის" საცავში არსებული რესურსი მცირდება. ენერგეტიკის მინისტრს ნიკა გილაურს ოქტომბრის დასაწყისში იმედი ჰქონდა, რომ თბოელექტროსადგურის ბაზისური სიმძლავრის ამოქმედების შემდეგ, "ენგურჰესში" არსებული ისედაც მცირე ჰიდრორესურსი დაიზოგებოდა. "ენგურჰესის" წყალსაცავში არსებული წყლის მარაგი საქართველოს ენერგოსისტემამ 2006 წლის 1 მარტამდე უნდა გამოიზოგოს. **ინტერპრესნიუსი**




## ს.ს.ი.პ. "საზოგადოებრივი მაუწყებელი" აცხადებს კონკურსს წამყვანის თანამდებობაზე

**მოთხოვნები**

- ასაკი - 25-დან 40 წლამდე;
- სასიამოვნო გარეგნობა;
- სასიამოვნო ხმის ტემბრი;
- ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა;
- უცხო ენის ცოდნა (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი);
- გამართული მეტყველება;
- უმაღლესი განათლება;
- ეთერში მუშაობის გამოცდილება (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი);
- ორგანიზებულობა;
- კომუნიკაბელობა;
- გუნდური მუშაობის უნარი.

მსურველებმა ს.ს.ი.პ. "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს მოქალაქეთა მისაღებში უნდა შეავსონ ანკეტები და დაურთონ 3 ფოტო (9X13) პორტრეტი, სამ სხვადასხვა რაკურსში. ანკეტების მიღება იწარმოებს 21 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 68

## მოკლედ

### დავით ბერძენიშვილი: მომავალ არჩევნებში ხელისუფლება დამარცხდება

"რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი დავით ბერძენიშვილი აცხადებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ხელისუფლება ძალზე მძიმე მდგომარეობაში იქნება და არჩევნების მოგების შანსები შეუმცირდება.

ბერძენიშვილის თქმით, 1 ოქტომბრის შუალედურ არჩევნებში ხუთივე მაჟორიტარულ ოლქში ხელისუფლების კანდიდატების გამარჯვება სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ოპოზიცია სუსტია.

"პრეზიდენტი სააკაშვილი სამი დღე-ღამის განმავლობაში არ ტოვებდა ქობულეთს, რათა პარლამენტში კობა ხაბაზი როგორმე გაეყვანა. ბათუმში საერთოდ კარიკატურული სიტუაცია შეიქმნა, როდესაც ამომრჩეველთა დიდი ნაწილი საარჩევნო უბანში არ მივიდა. ისანში კი ბევრ რაიონში ოპოზიციის კანდიდატმა გაიმარჯვა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ხელისუფლებას ძალზე მცირე ადმინისტრაციული რესურსი აქვს," - აღნიშნა ბერძენიშვილმა.

"რესპუბლიკელი" დეპუტატის განცხადებით, 1 ოქტომბრის არჩევნებისგან განსხვავებით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ოპოზიცია, ძირითადად, ცნობილ სახეებს წამოსწევს, რაც გამარჯვების შანსებს გაზრდის.

*მედიანიუსი*

### საქართველო რუსეთს ადანაშაულებს

გაეროს გენერალური ასამბლეის მე-60-ე სხდომის პირველი კომიტეტის სხდომაზე გაეროში საქართველოს წარმომადგენელი რევაზ ადამია მოხსენებით გამოვიდა.

მან რუსეთი აფხაზეთისა და "სამხრეთ ოსეთის" სეპარატისტული რეგიონების შეიარაღების გამო გააკრიტიკა და მოსკოვის მიერ "აგრესიული სეპარატიზმის" მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიის ანექსია უწოდა.

"ორივე რეგიონში მილიტარიზაციის აგრესიული პროცესი მიმდინარეობს. რაც ყველაზე ცინიკურია, სეპარატისტული ანკლავები სამხედრო ტვირთებს ჩვენი მეზობლისგან, რუსეთის ფედერაციისგან იღებენ. ამის შედეგად, აღნიშნულ ტერიტორიებზე დაგროვდა იარაღისა და საბრძოლო მასალის შთამბეჭდავი რაოდენობა, რომელსაც სახელმწიფო ვერ აკონტროლებს და რაც ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ გაეროს რეესტრში არ აისახება," - განაცხადა რევაზ ადამიამ.

მისი თქმით, 20 სექტემბერს ცხინვალში ე.წ. აღლუმზე მძიმე სამხედრო ტექნიკის დემონსტრირებით ევროპის ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ შეთანხმება უხეშად დაირღვა.

რევაზ ადამია აცხადებს, რომ სეპარატისტების მხარდაჭერით, რუსი სამხედრო და პოლიტიკური წრეები ტერორისტულ ჯგუფებს იარაღის შესყიდვის საშუალებას აძლევენ. საქართველოს ელჩმა ბესლანის ტერორისტული აქტი გაიხსენა და ამ ტერაქტის ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობად "სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიის უკონტროლობა დაასახელა.

"ის, რაც საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში ხდება, სხვა არაფერია, თუ არა ანექსია, რაც გულისხმობს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო საშუალებებით ეფექტური კონტროლის დამყარებას სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე," - აცხადებს რევაზ ადამია.

*მედიანიუსი*

### პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი არ არის?

თბილისის საოლქო სასამართლო დღეს, 10.30 საათზე, "კონსერვატიული პარტიის" სააპელაციო საჩივარს განიხილავს საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ.

"კონსერვატორები" მოითხოვენ, მიხეილ სააკაშვილს წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა აეკრძალოს.

ცოტა ხნის წინ, საქალაქო სასამართლომ "კონსერვატორების" საჩრჩელი იმ მოტივით არ დააკმაყოფილა, რომ პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი არ არის.

დღეს საოლქო სასამართლომ უნდა დაადგინოს, ხელისუფლების სხვა რომელ შტოს განეკუთვნება პრეზიდენტი სააკაშვილი.

*ინტერპრესნიუსი*

## ორი სიტყვით

**სოხუმი.** აფხაზეთის "სახალხო ერთობის ფორუმმა" რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს მიმართვა გაუგზავნა, რომელშიც აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობას სთხოვს.

"სახალხო ერთობის ფორუმი" რამდენიმე პოლიტიკურ პარტიას და საზოგადოებრივ მოძრაობას აერთიანებს. ფორუმი 2005 წლის თებერვალში შეიქმნა და მთავარ მიზნად რუსეთთან აფხაზეთის ასოცირებულ ურთიერთობებს ისახავს.

თავის მიმართვაში "სახალხო ერთობის ფორუმი" რუსეთს მშვიდობისა და სტაბილურობის, აფხაზი ერის უფლებების დამცველ მთავარ გარანტად მოიხსენიებს.

"აფხაზეთი საქართველოს ნაწილი არ არის და მისი ხელისუფლება საქართველოს მიერ ამ ტერიტორიის ანექსიას არ დაუშვებს," - ნათქვამია მიმართვაში.

*მედიანიუსი*

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# პოლონეთში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა

ნანა ნასყიდაშვილი


*პრეზიდენტობის კანდიდატმა დონალდ ტუსკმა და მისმა მეუღლემ ქალაქ სოპოტის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე მისცეს ხმა.*

პოლონეთში საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური შედგა. ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ გუშინდელი არჩევნები პოლონეთისთვის პირველი საპრეზიდენტო არჩევნები იყო. საარჩევნო უბნები მთელი ქვეყნის მასშტაბით, ადგილობრივი დროით, დილის 8 საათზე გაიხსნა და ხმის მიცემის პროცედურა საღამოს რვა საათამდე გაგრძელდა. ქვეყნის პირველი პირის თანამდებობის დასაკავებლად თავისი კანდიდატურა თორმეტმა პოლიტიკოსმა წამოაყენა. წინასწარ ჩატარებულ გამოკითხვის მიხედვით, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების მოპოვების რეალური შესაძლებლობა ორ პოლიტისოსს აქვს, კერძოდ – პოლოტიკური პარტია "სამოქალაქო პლატფორმის" წარმომადგენელ დონალდ ტუსკსა და "კანონი და სამართლიანობის" წევრ ლეხ კაჩინსკის. ვარშავის მერი ლეხ კაჩინსკი ამჟამინდელი პრეზიდენტის ხელისუფლებას აქტიურად აკრიტიკებს და მას კორუფციაში ადანაშაულებს. საგულისხმოა ისიც, რომ პარტია "კანონი და სამართლიანობა" ლეხ კაჩინსკიმ თავის ტყუპისცალ ძმასთან ერთად შექმნა. აღნიშნულმა პარტიამ, რომლის თავმჯდომარეც კაჩინსკის ძმაა, ორი კვირის წინ გამართულ საპარლამენტო არჩევნებში ხმათა უმრავლესობა მოიპოვა. ლეხ კაჩინსკი თავის პრიორიტეტად კონსერვატორულ ღირებულებათა დაცვას მიიჩნევს და, გამარჯვების შემთხვევაში, პრეზიდენტის ძალაუფლების გაზრდასთან ერთად ქვეყნისთვის ფართო სოციალური გარანტიების მიცემას გეგმავს. პოლიტიკოსის მომხრეებს, ძირითადად, ქვეყნის ღარიბი მოსახლეობა და ეკლესია წარმოადგენენ.

დონალდ ტუსკის პარტიამ "სამოქალაქო პლატფორმამ" 25 სექტემბერს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში ხმათა უმრავლესობით მეორე ადგილი მოიპოვა. მემარჯვენე-ლიბერალი ქვეყანაში არსებული უმუშევრობის პრობლემისა და კორუფციის დამარცხებას კანონთა გამარტივებით, ბიუროკრატიისა და გადასახადთა შემცირების გზით აპირებს. ტუსკის მხარდამჭერი ის ხალხია, ვისთვისაც სოციალურ გარანტიებზე მნიშვნელოვანია კაპიტალიზმი (ქვეყნის მოსახლეობის საშუალო ფენა, სტუდენტები და დიდი ბიზნესის წარმომადგენლები).

გუშინ გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა დაბალი აქტივობა დაფიქსირდა. იმ შემთხვევაში, თუ ვერც ერთი კანდიდატი ხმათა უმრავლესობას ვერ მოიპოვებს, არჩევნების მეორე ტური გაიმართება.

# აზია დახმარებას ითხოვს


*7.6 ბალიანი მიწისძვრის შედეგი.*

პაკისტანში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 30 ათასს მიაღწია, ხოლო დაშავებულთა რაოდენობამ 42 ათასს გადააჭარბა. ამის შესახებ ისლამაბადში კომუნიკაციების მინისტრმა ტარიკ ფარუკმა განაცხადა.

ადგილობრივი ხელისუფლება აღიარებს, რომ დაღუპულთა რიცხვი, შესაძლოა, კიდევ გაიზარდოს.

მიწისძვრა, რომლის სიმძლავრემ, რიხტერის სკალით, 7,6 ბალი შეადგინა, პაკისტანში, ინდოეთსა და ავღანეთში შაბათს მოხდა. სტიქიამ, ძირითადად, ქაშმირის ის ზონა დააზარალა, რომელსაც პაკისტანი აკონტროლებს.

ფარუკას თქმით, ამ რეგიონის ზოგიერთი ქალაქი და დასახლებული პუნქტი მთლიანად განადგურდა. მასშტაბური ნგრევა აღინიშნა ქაშმირის პაკისტანური ნაწილის დედაქალაქ მუზაფარაბადში.

მხოლოდ ქალაქ ბაკხში, რომელიც მუზაფარაბადიდან სამხრეთ-დასავლეთით 40 კმ-ში მდებარეობს, სტიქიამ 6-7 ათასი ადამიანი იმსხვერპლა. მინისტრის თქმით, მრავალ სოფელში მიწისძვრის დროს ყველა მაცხოვრებელი დაიღუპა. ინდოეთში დაღუპულთა რიცხვმა 558-ს მიაღწია.

გუშინ პაკისტანის ტერიტორიაზე კვლავ განმეორდა 6-ბალიანი მიწისძვრა.

მსოფლიო ბანკმა პაკისტანში მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად 20 მილიონი აშშ დოლარი გამოყო.

# ბრძოლა იპოდრომისათვის

პირველი გვერდიდან

**"ჩვენ გვინდა, შევინარჩუნოთ იპოდრომი. დღეისათვის ქალაქში თანდათან მცირდება გამწვანებული ადგილების რაოდენობა. ვიცით, რომ ამ ადგილას კორპუსების აშენება უნდათ, იპოდრომს კი, სავარაუდოდ, თბილისის ზღვაზე გადაიტანენ. თუკი ვინმეს იპოდრომის ბედი აწუხებს, ან აქ მიხედოს, ან მეორე ააშენოს. ევროპის ყველა ქვეყანაში პარკების სისტემა მოწესრიგებულია. ჩვენ, ფაქტობრივად, ქალაქის ფილტვებს ვსპობთ. დიდი იმედი მქონდა, რომ მიხეილ სააკაშვილი ყველა უკანონო მშენებლობას შეაჩერებდა, თუმცა პირიქით ხდება,"** – განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ შალვა ჭეიშვილმა.

მოსახლეობის განცხადებით, ეს არის დასვენებისთვის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი, ამავდროულად, ცხენოსნობის განვითარებისათვის საჭირო ტერიტორია, რომელსაც საქართველოში ლიკვიდაცია ემუქრება.

აქციაზე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებიც მივიდნენ. „ლეიბორისტ" სოსო შატბერაშვილის განცხადებით, იპოდრომის, ზოოპარკისა და "მზიურის" ტერიტორიებზე მშენებლობების დაწყებას ერთი ხელმძღვანელი ჰყავს. მისივე თქმით, იპოდრომზე იგეგმება საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა და მშენებლობას კომპანია "აქსისი" გეგმავს.

როგორც კომპანია "აქსისში" აცხადებენ, ისინი იპოდრომის ტერიტორიაზე ჯერჯერობით არანაირი მშენებლობის წამოწყებას არ აპირებენ. მათივე თქმით, თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის საქალაქო სამსახურში ამჟამად იპოდრომის განაშენიანების გენგეგმის დამუშავება მიმდინარეობს.

**"ახალი გეგმის გაცნობის შემდეგ, "აქსისი" გადაწყვეტს, რამდენად არის მისთვის მისაღები საქალაქო სამსახურის მიერ შემუშავებული, იპოდრომის განაშენიანების გეგმა,"** - აცხადებენ კომპანიაში.

თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჩხაიძის განცხადებით, მათ სამსახურში იპოდრომის განაშენიანების გენგეგმაზე მუშაობა არ მიმდინარეობს. მისივე განმარტებით, ურბანულ სამსახურში იპოდრომის ტერიტორიასთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული პროექტი ჯერ არ შესულა.

როგორც აქციაზე "კონსერვატიული პარტიის" ლიდერმა კობა დავითაშვილმა განაცხადა, **„იმ პირებს, რომლებიც ცდილობენ, იპოდრომი კერძო საკუთრებად აქციონ, პარლამენტარი გივი თარგამაძე მფარველობს."** მან იპოდრომზე შეკრებილ ხალხს მოუწოდა, შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტი, რათა იპოდრომის გასხვისების წინააღმდეგ ყველანაირი მასალა იქნას მოპოვებული. დავითაშვილის განცხადებით, მისი თანაპარტიელი კახა კუკავა დღეიდანვე დაიწყებს მუშაობას და იპოდრომის პრივატიზებისა და გასხვისების კანონიერების საკითხს შეისწავლის. დავითაშვილის განმარტებით, მას თარგამაძის ინტერესების შესახებ ინფორმაცია თავისმა ამომრჩეველმა მიაწოდა.

**„პირველად მესმის ამის შესახებ. რაღაც თამაშის წესები ოპოზიციისთვისაც ხომ უნდა არსებობდეს? მართალი გითხრათ, მომბეზრდა ჰაერზე ლაპარაკი. ყველას შეუძლია, ნახოს დოკუმენტები და თუკი ჩემს გვარს აღმოაჩენენ, მე თანახმა ვარ, პასუხი ვაგო,"** – განაცხადა „24 საათთან" საუბრისას გივი თარგამაძემ.

დღეს აქციის მონაწილეები იგივე მოთხოვნით მერიის შენობასთან შეკრებას გეგმავენ.


*აქციაში ბავშვებიც მონაწილეობდნენ.*

## ჩვენ გვინდა, იპოდრომი არსებობდეს

არც კი ვიცით, ვის და როგორ მივაწვდინოთ ჩვენი (არაპოლიტიკოსების, რიგითი მოქალაქეების) ხმა, აშღფოთება და გულისწყვეტა... გაოგნებული ვართ ინფორმაციით იპოდრომის გაყიდვის შესახებ. არ იყო საკმარისი "მზიურის" გაჩანაგება, ახლა ოპოდრომი, შემდეგ, ალბათ, ბოტანიკური ბაღი, კუს ტბა, ლისის ტბა და ა.შ. როდემდე? სადამდე? ეს ის ადგილებია, სადაც ჯერ კიდევ ჯანსაღი, სულითა და ხორცით, ახალგაზრდობა სულს ითქვამს, სპორტს მისდევს. ხელმოკლე ოჯახებს აგარაკის მაგივრობას უწევს, სადაც გადაღლილი, გილისტკივილით აღსავსე ხანდაზმული თაობა გულს იოხებს.

რატომ არავინ ფიქრობს ამაზე? რატომ მოიძულეს ასე მშობლიური ხალხი? იმიტომ, რომ უცებ, შემთხვევით გამდიდრებული ხალხისთვის მეტად მიმზიდველია ეს ადგილები. ჩვენ ხომ ყველანი ჩვენი ბედკრული საქართველოს შვილები ვართ, ვიფიქროთ ერთმანეთზე, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს. ჩვენ ხომ ერთმანეთს ვჭირდებით, რათა ერთად ვაშენოთ ახალი სახელმწიფო, ჩვენი ტანჯული წინაპრებისა და მშობლების ბრძნული დარიგებებისა და ჩაგონების შემსრულებელნი უნდა ვიყოთ, უერთგულესი შვილები ჩვენი საქართველოსი.

ჩვენი პროტესტი, ალბათ, გულუბრყვილოდ შეირაცხება, რადგან ვიცით, იურიდიულად ყველაფერი ფორმდება ქაღალდებზე. მაგრამ ამის მიღმა ხომ არსებობს ადამიანობა, მოქალაქეობა, ამ სიტყვის დიდი გაგებით. "მაინც არაფერი გამოვაო," ხელის ჩაქნევით გაიძახის ხალხის ერთი ნაწილი, სხვანი კი ჩაგვაგონებენ, ეს ჩვენი სამშობლოა, ჩვენ უნდა ვუპატრონოთ, ხმა ავიმაღლოთო...

მივბაძოთ ცივილიზებულ ქვეყნებს, სადაც დიდ ქალაქებში უხვადაა მოვლილი პარკები, სკვერები, რომელთა არსებობა ერს აჯანსაღებს. რად გვინდა ფეშენებელური ბინები, თუკი ჩვენს ქალაქში ჰაერი არ იქნება? გამოვიჩინოთ მეტი წინდახედულება.

1. ჯიმშერ თორთლაძე; 2. სოფო თორთლაძე; 3. ლალი მაისურაძე 4. ნინო გაბუნია; 5. დოდო ჩხეიძე; 6. ლია მიქაძე; 7. რეზო ჭანკვეტაძე; 8. ზურაბ გაჩეჩილაძე...

**გაზეთ "24 საათში" შემოსულ განცხადებას ხელს აწერს 40 მოქალაქე.**


KLM SKYTEAM

ეს არ არის წამახალისებელი აქცია
ეს KLM-ის ახალი რეგულარული ფასებია:

| ეკონომიური კლასი | | ბიზნეს კლასი | |
| --- | --- | --- | --- |
| ევროპა | $ 379*-დან | ევროპა | $ 1199*-დან |
| ჩრ. ამერიკა | $ 599*-დან | ჩრ. ამერიკა | $ 2599*-დან |

WWW. KLM.GE

KLM-ის საუკეთესო ფასების მისაღებად ყოველთვის შეამოწმეთ www.klm.ge

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით თქვენს სამოგზაურო სააგენტოს ან ავიაკომპანია KLM-ის სათაო ოფისს:
(995 32) 920079, 920023
ელ-ფოსტა: reservations@klm.com.ge

AIR FRANCE KLM

*ფასები არ შეიცავს აეროპორტის მოსაკრებელს



UNITED STATES
EDMUND S. MUSKIE Graduate Fellowship Program
Bureau of Educational and Cultural Affairs

სამაგისტრო ხარისხის მიღება ამერიკის შეერთებულ შტატებში!

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იწვევს კურსდამთავრებულებს და პროფესიონალებს საქართველოდან მონაწილეობა მიიღონ 2006-2007 წლის ედმუნდ მასკის სამაგისტრო პროგრამის ღია კონკურსში (Muskie). ეს პროგრამა საშუალებას აძლევს საქართველოს მოქალაქეებს მიიღონ მაგისტრის ხარისხი ამერიკის შეერთებულ შტატების უნივერსიტეტში. პროგრამა დაფინანსებულია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით საქართველოს IREX-ის ოფისს ან იხილეთ ვებ-გვერდი:
www.irex.ge

IREX საქართველო, თბილისი 0162, ნუცუბიძის ქ. №8
ტელ: (995 32) 29 19 05, 91 26 09, www.irex.ge, muskie@irexonline.ge

ანკეტების ჩაბარების ბოლო ვადა: 2005 წლის 31 ოქტომბერი, 17:00



EURASIAN UNDERGRADUATE EXCHANGE PROGRAM

გსურთ ისწავლოთ ამერიკისშეერთებულ შტატებში?

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იწვევს პირველ, მეორე და მესამე (ხუთწლიანი სწავლების შემთხვევაში) კურსის სტუდენტებს საქართველოდან მონაწილეობა მიიღონ 2006-2007 წლის ევრაზიის სტუდენტური გაცვლითი პროგრამის(UGRAD) ღია კონკურსში. გამარჯვებულები გაემგზავრებიან სასწავლებლად ამერიკის უნივერსიტეტში ან კოლეჯში ერთი აკადემიური წლის განმავლობაში. პროგრამა დაფინანსებულია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით საქართველოს IREX-ის ოფისს ან იხილეთ ვებ-გვერდი: www.irex.org.

IREX საქართველო,თბილისი 0162, ნუცუბიძის ქ. №8
ტელ: (995 32) 29 19 05, 91 26 09, www.irex.ge, ugrad@irexonline.ge

ანკეტების ჩაბარების ბოლო ვადა: 2005 წლის 7 ნოემბერი, 17:00

## მოკლედ

### ბათუმის ნავთობტერმინალზე გადაზიდვები შემცირდება

ბათუმის ნავთობტერმინალით გადაზიდული ნავთობის მოცულობა ოქტომბრის ბოლოდან მნიშვნელოვნად შემცირდება. როგორც პრაიმ-ნიუსს ნავთობტერმინალის წარმომადგენელმა გიორგი ხარაზიშვილმა განუცხადა, BTC კონსორციუმის წევრი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ოპარატორი კომპანიები, მათ შორის - BP, "სტატოილი" და "ექსონი", აზერბაიჯანიდან ნავთობის ტრანსპორტირებას, ბათუმის ტერმინალის ნაცვლად, ძირითადი საექსპორტო მილსადენით განახორციელებენ.

ხარაზიშვილი აღნიშნავს, რომ ეს კომპანიები აზერბაიჯანის ნავთობის საბადოს "აზერ ჩინალ გინშლის" მსხვილი აქციონერები არიან.

ხარაზიშვილის ინფორმაციით, ყოველთვიურად ბათუმის ნავთობტერმინალით 900 000 ტონა ნავთობი გადაიტვირთება, საიდანაც 400 000 ტონა აზერბაიჯანულ ნავთობზე მოდის. ხარაზიშვილი არ გამორიცხავს, რომ პირველ ეტაპზე ტერმინალზე აზერბაიჯანული ნავთობის წილი განახევრდეს. ამასთან, მისივე თქმით, ეს მაჩვენებელი რამდენიმე თვეში შესაძლოა ძველ ნიშნულს დაუბრუნდეს, რადგან "აზერ ჩინალ გინშლიზე" ნავთობის მოპოვების გაზრდა იგეგმება.

ღონისძიებას საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები დაესწრებიან.

მილსადენის მშენებლობის ძირითადი სამუშაოები 500 მილიონი დოლარით, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა დააფინანსეს. მისი კრედიტორები არიან ECDG, A\SACE, HERMES, Ex-Lm,Bank, OPIC, City Group, Royal Bank of Scotland.

პროექტის მთლიანი ღირებულება 3,5 მილიარდი დოლარია. **პრაიმ-ნიუსი**

### "ჟინვალჰესის" საბუფერო აუზის აღდგენა ათ დღეში დასრულდება"

"ჟინვალჰესის" საბუფერო აუზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 20 ოქტომბრისთვის დასრულდება. როგორც "ჟინვალჰესის" ტექნიკურმა დირექტორმა, ემზარ ჩაჩხიანმა საინფორმაციო სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" განუცხადა, სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, აუზის გაწმენდა-გარეცხვა და სანიტარიული დამუშავება მოხდება. ამის შემდეგ კი, დედაქალაქის წყალმომარაგება კვლავ საბუფერო აუზის გავლით აღდგება. **"ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოები საშუალებას მოგვცემს, მნიშვნელოვნად გავზარდოთ დედაქალაქისთვის მიწოდებული წყლის რაოდენობა და ხარისხი. განსაკუთრებით სასმელი წყლის ხარისხი გაუმჯობესდება,"** - განაცხადა ჩაჩხიანმა. ამჟამად თბილისს სასმელი წყალი სპეციალურად გაკეთებული 850-მეტრიანი დროებითი არხით არაგვის ხეობიდან მიეწოდება. სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, ჩაჩხიანის განცხადებით, უკვე 850 ათასი ლარი დაიხარჯა, რომელიც "მსოფლიო ბანკმა" გამოყო. როგორც მან აღნიშნა, ამ სამუშაოებთან დაკავშირებით, შეფერხებულია "ჟინვალჰესის" მუშაობა. კერძოდ, ის 12-საათიანი გრაფიკით მუშაობს და დღისით მხოლოდ 10 მეგავატ ენერგიას გამოიმუშავებს, თუმცა, საღამოს გამომუშავება 70 მეგავატამდე იზრდება. მისივე თქმით, ეს ის სიმძლავრეა, რომლის გამომუშავებაც ჰესს მაქსიმალურად შეუძლია. მთლიანად, "ჟინვალჰესი" 12 საათში ერთ მილიონ კილოვატ/საათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# აზიური ბიზნესფორუმი თბილისში

*თვის ბოლოს თბილისი კიდევ ერთ ბიზნესფორუმს უმასპინძლებს. იტალიელების შემდეგ დედაქალაქში აზიელი საქმოსნები ჩამოვლენ. მრავალრიცხოვან აზიურ დელეგაციას საქართველოში 26 ოქტომბერს, დღის პირველ ნახევარში ელიან.*

ავსტრალია, იაპონია, ნეპალი, ფილიპინები, ცეილონი, ბანგლადეში, აზერბაიჯანი, სომხეთი, მონღოლეთი, პაკისტანი და ბრუნეი – სწორედ ამ სახელმწიფობის ბიზნესკომპანიების მონაწილეობით შედგება ხსენებული ფორუმი.

მათი ვიზიტის მეორე დღეს, ანუ 27 ოქტომბერს იგეგმება ორმხრივი ბიზნესსესიების გამართვა. მესამე დღე კი მთლიანად ბიზნესფორუმს დაეთმობა, რომელშიც მონაწილეობას, ქართველი და აზიური ბიზნესმენების გარდა, ხსენებული ქვეყნების სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელებიც მიიღებენ. ფორუმს დილის 9 საათზე საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი გახსნის.

ფორუმზე ძირითადი მომხსენებლები იქნებიან საქართველოს ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე ჯემალ ინაიშვილი, ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე, სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის უფროსი საბა კიკნაძე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე დიმიტრი ქიტოშვილი, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე გიორგი თავაძე, საფონდო ბირჟის პრეზიდენტი გიორგი ლოლაძე. ფორუმში მონაწილეობას მიიღებენ კორეის სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და საერთაშორისო სავაჭრო პალატის პრეზიდენტი იანგ-სუნგ პარკი, ველინგტონის რეგიონული სავაჭრო პალატის პრეზიდენტი საინ არნოლდი, რუსეთის ფედერაციის სავაჭრო პალატის ვიცე პრეზიდენტი გიორგი პეტროვი და სხვები. ყველა მომხსენებელს საპატიო სიგელები გადაეცემა.

რაც შეეხება ფორუმში მონაწილე ქართულ კომპანიებს, მას შემდეგი ბიზნესმენები წარადგენენ: კომპანია "ჯეოსელის" გენერალური მენეჯერი ოსმან თურანი, "თი ბი სი" ჯგუფის პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე, კომპანია "თბილღვინოს" პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და სხვები.

28 ოქტომბერს, აზიელი სტუმრებისთვის, საღამოს რვა საათზე მოეწყობა საზეიმო ვახშამი. 29 ოქტომბერს დელეგატები საქართველოს დატოვებენ. ისინი იმავე დღეს, სავარაუდოდ, სომხეთსა და აზერბაიჯანში გაემგზავრებიან.

*24 საათი*

# „ბათუმის გემთსაშენ ქარხანაზე" აუქციონი გამოცხადდა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო "ბათუმის გემთსაშენ ქარხანაზე" კონკურსს ხელმეორედ აცხადებს.

შპს "ბათუმის გემთსაშენი ქარხნის" საწყისი გასაყიდი ფასი კვლავ 7 700 000 დოლარია. აღნიშნული ობიექტი 100 პროცენტით სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს და ის მთლიანად იყიდება.

საკონკურსო პირობების მიხედვით, ქარხანას საქმიანობის პროფილი 5 წლის განმავლობაში შეუნარჩუნდება; 3 წლის განმავლობაში მყიდველმა სახელფასო ფონდი 10 პროცენტით უნდა გაზარდოს და საწარმოში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა შეინარჩუნოს. მყიდველმა 2 მილიონ 500 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხა ლარებში - მიმდინარე წლის 1 დეკემბრამდე, 2 000 000 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხა ლარებში - მომავალი წლის 1 ივლისამდე, ხოლო დარჩენილი თანხა ლარებში 2006 წლის 1 ნოემბრამდე უნდა გადაიხადოს.

ხსენებული ობიექტი ბათუმში მწვანეს ქუჩა N 1-ში მდებარეობს. მისი საქმიანობა მცურავი საშუალებების რემონტი, მანქანა-დანადგარებისა და ლითონკონსტრუქციების წარმოება და რემონტია.

საწარმოს საწესდებო კაპიტალი 13 774 250 ლარია. მისი დებიტორული დავალიანება 309 837 ლარი, ხოლო კრედიტორული დავალიანება 1 633 152 ლარია.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განცხადებების მიღება დღეიდან დაიწყება და 9 ნოემბრამდე გაგრძელდება. კონკურსი 10 ნოემბერს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ჩატარდება.

კონკურსის წესით გაიყიდება, ასევე, სს "ელექტრომექანიკოსი", რომელიც ქუთაისში გუგუნავას ქ.N1-ში მდებარეობს. მისი საწყისი ფასი 1 100 000 დოლარია. ობიექტის საწესდებო კაპიტალი 5 721 672 ლარია. იყიდება ობიექტის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილი – 65.96 პროცენტი. ობიექტის დებიტორული დავალიანება 472 788 ლარია, კრედიტორული დავალიანება კი 621 716 ლარს შეადგენს.

საკონკურსო პირობების მიხედვით, მყიდველმა საპრივატიზებო თანხის ნაწილი – 500 000 აშშ დოლარი 2005 წლის ბოლომდე უნდა დაფაროს, ხოლო დანარჩენი - 2006 წლის 1 ნოემბრამდე; ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში მყიდველმა საწარმოში 200 სამუშაო ადგილი უნდა შეინარჩუნოს.

ამავე დღეს, აუქციონის წესით გაიყიდება შპს "ინდუსტრია", რომელიც ქუთაისში ავტომშენებლის ქ. N88-ში მდებარეობს. ობიექტის საქმიანობა სამრეწველო და სამეურნეო პროდუქციის წარმოებაა. მისი საწყისი ფასი 3 000 000 დოლარია. საწესდებო კაპიტალი კი 10 526 230 ლარი. ობიექტი 100 პროცენტით სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს და მთლიანად იყიდება.

აღნიშნულ ობიექტებზე განაცხადების მიღება ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 10 ოქტომბრიდან იწყება და 9 ნოემბრამდე გაგრძელდება. პრივატიზაცია კი სამინისტროში 9 ნოემბერს 16 საათზე ჩატარდება.

*24 საათი*


# *ბექტელ ინტერნეშენალ სისტემზ, ინქ*

## კონფერენცია სამუშაოს შეთავაზების შესახებ ქართველი ქვეკონტრაქტორების და მომწოდებლებისთვის

ბექტელ ინტერნეშენალ სისტემზ, ინქ. - ამერიკული სამშენებლო-საინჟინრო კომპანია ბექტელის წარმომადგენლობითი ოფისი, ბექტელთან წინასწარ კვალიფიცირებული ქვეკონტრაქტორების ან მომწოდებლების რანგში თანამშრომლობით დაინტერესებულ კომპანიებს იწვევს **კონფერენციაზე**, რომელიც გაიმართება **2005 წლის 20 ოქტომბერს, 09:30 დან 12:00 მდე "მარიოტ ქორთიარდში, დარბაზი N2 (მე-2 სართული)**.

კონფერენციის მსვლელობისას ბექტელი წარმოადგენს შემდეგ საკითხებს:

საქართველოში ბექტელის საქმიანობის მიმოხილვა

- სამომავლო შესაძლებლობები ახალი, თანამედროვე სპეციალიზებული სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობის მხარდასაჭერი სამუშაოების დროს (განთავსდებიან თბილისში და დანარჩენ საქართველოში)

მოთხოვნები და პროცედურები, რომელიც საჭიროა, რათა გახდეთ ბექტელის ტენდერის მონაწილე

- ჩვენი წინადადებაზე მოთხოვნების პაკეტების განხილვა, რომლებიც გაიცემა ტექნიკური და სამშენებლო მომსახურებისთვის და კვოტირებაზე მოთხოვნის პაკეტების განხილვა, რომლებიც გაიცემა აღჭურვილობის და მასალების შესყიდვაზე

ბექტელის ტენდერის, შეფასების და კონტრაქტის გაფორმების პროცესის ახსნა

- საკონტრაქტო შეთანხმების ტიპები, რომელსაც ბექტელი ყველაზე ხშირად იყენებს

ფასების კალკულაციის და ანაზღაურების პირობები

- პირობებთან შესაბამისობის და ეთიკის მნიშვნელობა ჩვენს ბიზნეს შეთანხმებებში

ბექტელის გარემოს დაცვის, უსაფრთხოების და ჯანდაცვის მოთხოვნების და ქვეკონტრაქტორების მიერ მათი შესრულების მნიშვნელობა

- რა შედის ბექტელის მიერ მომზადებულ სამუშაოს აღწერის ტიპიურ დოკუმენტში

წარსადგენი მასალები, რომლებიც, როგორც წესი, მოეთხოვებათ ქვეკონტრაქტორებს სამუშაოების დაწყებამდე

- რა ტიპის აღჭურვილობას და მასალებს შეისყიდის ბექტელი ამჟამად ქვეყანაში და ჩვენი სამომავლო მოთხოვნები

რა ტიპის ტექნიკური და სამშენებლო მომსახურების ქვეკონტრაქტების დებს ამჟამად ბექტელი ქვეყანაშიUდა ჩვენი სამომავლო მოთხოვნები

- დამსწრე საზოგადოების შეკითხვები ბექტელის პრეზენტაციის ბოლოს.

ამ კონფერენციის დროს პოტენციურ ქვეკონტრაქტორებს და მომწოდებლებს გადაეცემათ კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის / ქვეკონტრაქტორის კითხვარის პაკეტები და ეცნობებათ თუ როდის და რა მისამართზე უნდა გაუგზავნონ თავიანთი პასუხი ბექტელს. კომპანიების მიერ შევსებულ კითხვარს კი ბექტელი გამოიყენებს თქვენი კომპანიის კვალიფიკაციის შესაფასებლად და იმის გადასაწყვეტად, ჩართოს თუ არა თქვენი კომპანია ტენდერის მონაწილეთა სიაში, რის შემდეგაც კომპანიას გაეგზავნება წინადადებაზე მოთხოვნის პაკეტები.

იმისთვის რომ თქვენი კომპანია ჩაითვალოს წინასწარ კვალიფიცირებულ ქვეკონტრაქტორად, მას უნდა გააჩნდეს გარემოს დაცვის, უსაფრთხოების და ჯანდაცვის გეგმა და ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ბექტელის სტანდარტებს, რომლებიც განიხილება ამ კონფერენციის დროს.

თუ თქვენი კომპანიას აქვს საქართველოში მუშაობის ლიცენზია, სტაბილური ფინანსური მდგომარეობა და არის გამოცდილი, გირჩევთ აუცილებლად დაესწროთ ჩვენს კონფერენციას.

სასტუმრო ქორთიარდ მარიოტი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: თავისუფლების მოედანი 4, 0105, თბილისი, საქართველო

**თქვენს კომპანიას ვთხოვთ წინასწარ შეგვატყობინოს კონფერენციაზე დასწრების შესახებ. შეტყობინება უნდა გაუგზავნოთ ქ-ნ ლელა მაჩაიძეს ელ. ფოსტის შემდეგ მისამართზე lmachaid@bechtel.com ან ტელეფონის ნომერზე 995 32 47 40 40, ან კიდევ გამოგზავნოთ ფაქსით ნომერზე 995 32 92 29 96 2005 *წლის 13 ოქტომბრამდე.* რაკილა კონფერენციაზე ველით დამსწრეთა დიდ რაოდენობას, უმორჩილესად ვთხოვთ თითოეულ კომპანიას გამოგზავნონ ორი (2) მაღალი თანამდებობის წარმომადგენელი.**


# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, მე-3 მასივის 10 კვარტლის "ჟ.ზ.ი." კორპუსის, მე-3 მასივის X კვარტლის "გ.დ.ე." კორპუსის, მე-3 მასივის X კვარტლის "ა.ბ.ვ." კორპუსის, მე-3 მასივის I კვარტლის "გ.დ.ე." კორპუსის, მე-3 მასივის I კვარტლის "ა.ბ.ვ" კორპუსის, მე-3 მასივის VI კვარტლის N13 კორპუსის ფასადის მოპირკეთებაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 6 ლოტად (პოზიციად): **1.** მე-3 მასივის 10 კვარტლის "ჟ.ზ.ი." კორპუსი **2.** მე-3 მასივის X კვარტლის "გ.დ.ე." კორპუსი **3.** მე-3 მასივის X კვარტლის "ა.ბ.ვ." კორპუსი **4.** მე-3 მასივის I კვარტლის "გ.დ.ე." კორპუსი **5**. მე-3 მასივის I კვარტლის "ა.ბ.ვ" კორპუსი **6.** მე-3 მასივის VI კვარტლის N13 კორპუსი.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: შენობის ფასადის მოპირკეთება უნდა მოხდეს მსუბუქი კონსტრუქციის საშუალებით. კერძოდ: ალუმინის პროფილებითა და მასში ჩასმული 16 მმ-იანი პოლიკარბონატით. ალუმინის კონსტრუქციებით მოპირკეთებული აივნების უკანა მხარეს მოპირკეთება უნდა მოხდეს თეთრი ფერის ლამბრის ტიპის "პვც" პროფილებით; მოსაპირკეთებელი ფართის რაოდენობა -6000მ2.

**2**. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2005 წლის 30 ნოემბერი.

**3**. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 25 ოქტომბრის 12 საათიდან 26 ოქტომბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, III სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4**. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1იურიდიული პირისათვის:**

- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

- ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

**4.2.ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**4.3.როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

ინფორმაციას სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ;

- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

***5***. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

***6.*** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 27 ოქტომბრის 12 საათიდან 28 ოქტომბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

***7.*** ტენდერში ლოტების (პოზიციების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლენილ იქნას რამდენიმე გამარჯვებული;

***8.*** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გიგა ნემსიწვერიძე - საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39 და ნუგზარ კალაძე- საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, შენობა-ნაგებობების სახურავების ჰიდროსაიზოლაციო მასალით გადახურვის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: ძველი დაზიანებული რბილი სახურავების მოხსნა, ცემენტის ხსნარით მოჭიმვა, წყალსაწრეტი ძაბრების და მილების გაწმენდა (საჭიროების შემთხვევაში შეცვლა), პარაპეტების მოწყობა თუნუქის ფურცლებით. სახურავების ფართი - 50000 მ2.

**2**. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2005 წლის 31 დეკემბერი.

**3**. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 25 ოქტომბრის 12 საათიდან 26 ოქტომბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, III სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4**. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

- ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

**4.2.ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**4.3.როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

ინფორმაციას სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ;

- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

***5***. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

***6.*** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 27 ოქტომბრის 12 საათიდან 28 ოქტომბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

***7.*** ტენდერში შესაძლებელია გამოვლენილ იქნას ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული;

***8.*** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გიგა ნემსიწვერიძე - საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39 და ნუგზარ კალაძე- საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*სატენდერო კომისია*

# დეპუტატის ყოფილი მეუღლის ბედი, შესაძლოა, დღეს გადაწყდეს

*საქართველოს პარლამენტის დეპუტატის გოჩა ჩახვაძის ყოფილი მეუღლის წინასწარი პატიმრობის საკითხი თბილისის საოლქო სასამართლომ, შესაძლოა, დღეს განიხილოს. სამი დღის წინ თბილისის საოლქო სასამართლოში შეტანილი შუამდგომლობით, მკვლელობის მცდელობისა და იარაღის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარებისთვის ბრალდებული ეთერ ჭუმბურიძის დაცვის მხარემ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა და მათი დაცვის ქვეშ მყოფისთვის უკვე შეფარდებული სამთვიანი პატიმრობის გაუქმებასთან ერთად ბრალდებულის სასამართლო დარბაზიდან უპირობო გათავისუფლება მოითხოვა.*

როგორც ცნობილია, გამოძიებისა და დაზარალებული მხარის მტკიცებით, ეთერ ჭუმბურიძემ ყოფილ მეუღლეს "მაკაროვის" სისტემის იარაღიდან ოთხჯერ ესროლა, თუმცა, შედეგად არავინ დაშავებულა.

ბრალდებული და მისი დაცვის მხარე კი "დაზარალებულად", უფრო სწორად, გავლენიანი მეუღლის მსხვერპლად თავად ბრალდებულს მიიჩნევს და ირწმუნება, რომ ინციდენტი წინასწარ დაგეგმილი სცენარით დაიდგა. გოჩა ჩახვაძის სახლში მისმა მძღოლმა ისროლა, შვილების სანახავად სახლში შეტყუებულ ეთერ ჭუმბურიძეს კი იარაღზე ხელი იძულებით დაადებინეს. როგორც თავად ბრალდებული იხსენებს, მიუხედავად ფიზიკური ზეწოლისა, იარაღზე მან მხოლოდ სამი თითი დაადო; ანუ დაცვის მხარეს იმედი აქვს, რომ დაქტილოსკოპური ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ პარლამენტარის ოჯახში მომხდარი ინციდენტის რეალური სურათი გაიშიფრება. მათივე აზრით, ამას ხელს შეუწყობს გამოძიების მიერ დანიშნული კომპლექსური - ბალისტიკური და ქიმიური ექსპერტიზებიც. ჭუმბურიძის ერთ-ერთი ადვოკატის ირაკლი ართილაყვას ინფორმაციით, ქიმიური ექსპერტიზა დანიშნულია ეთერ ჭუმბურიძის და, ასევე, დეპუტატის მძღოლის ტანსაცმელზე, რომელიც გამოძიებას ნივთმტკიცების სახით აქვს ამოღებული.

**"გამოძიება გვიმტკიცებს, რომ მძღოლის ტანსაცმელი მას შემდეგ არ გარეცხილა. თუ ეს მართლაც ასეა, არ არის გამორიცხული, რომ დენთის კვალი მისი ტანსაცმლიდან ამოვიდეს, რითაც კიდევ ერთხელ დამტკიცდება, რომ პისტოლეტიდან სწორედ მან ისროლა",** - გვითხრა ირაკლი ართილაყვამ.

ადვოკატები იმასაც ამბობენ, რომ ტყვიის ტრაექტორიის განსაზღვრით შესაძლებელია, დაფიქსირდეს მსროლელის სიმაღლე. დეპუტატის მძღოლისა და ეთერ ჭუმბურიძის სიმაღლეს შორის კი აშკარა სხვაობაა.

დაცვის მხარემ ისიც გვითხრა, რომ გამოძიება ვერ პასუხობს კითხვას, თუ სად შეიძინა ეთერ ჭუმბურიძემ იარაღი, რომლითაც ყოფილ მეუღლეს ესროლა. არადა, იარაღის შეძენაში მას ბრალი უკვე წარდგენილი აქვს.


*ბრალდებული და მისი დაცვის მხარე კი "დაზარალებულად", თავად ბრალდებულს მიიჩნევს.*

ბრალდებულ ეთერ ჭუმბურიძის ადვოკატები - გირშელ ძებნიაური და ირაკლი ართილაყვა არ გამორიცხავენ, რომ გამოძიება და, აქედან გამომდინარე, ექსპერტიზებიც არაობიექტურად წარიმართოს. იმ შემთხვევაში, თუ დაცვის მხარე საეჭვოდ მიიჩნევს ექსპერტიზების პასუხებს, ისინი ალტერნატიული ექსპერტიზების დანიშვნის საკითხის დასმას აპირებენ. თუმცა, ეს ყველაფერი სამომავლო გეგმაა, რომლის დიდ ნაწილს, დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატები ამ ეტაპზე არ ახმაურებენ. პირველ რიგში კი, კვლავ აღმკვეთი ღონისძიების საკითხი დგას.

ადვოკატ ირაკლი ართილაყვას განცხადებით, პირველი ინსტაციის სასამართლოზე ზეწოლა განხორციელდა, რადგან მოსამართლემ არ გაითვალისწინა დაცვის მხარის არგუმენტები. მოსამართლე მანუჩარ კაპანაძემ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა, რომლითაც ადვოკატები, ბრალდების უსაფუძვლობის გამო, დაკავებულის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ან, ალტერნატივის სახით, აღმკვეთ ღონისძიებად 5 ათასი ლარის ოდენობით გირაოს შეფარდებას ითხოვდნენ. გირაოს ოდენობის გაზრდას ადვოკატი სრულიად გამორიცხავს, რადგან ბიზნესმენ და დეპუტატ გოჩა ჩახვაძესთან განქორწინების შემდეგ ეთერ ჭუმბურიძე, ფაქტობრივად, უსახლკაროდ დარჩა.

*24 საათი*

# ყოფილი გენპროკურორი ერთი ბოთლი ლუდის მითვისებაში ბრალდებულს გაასამართლებს

ყოფილი გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე, ამჯერად უკვე მოსამართლის სტატუსით, ორ დღეში ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეს განიხილავს. დააკმაყოფილებს თუ არა მოსამართლე ნუგზარ გაბრიჩიძე ყოფილი კოლეგების მოთხოვნას და განუსაზღვრავს თუ არა სასჯელის ზომად ერთი ბოთლი ლუდის მითვისებაში ბრალდებულ დავით ბერიკაშვილს 11-წლიან პატიმრობას, წინასწარ ძნელი სათქმელია. თუმცა, სულ რაღაც ერთი თვის წინათ მან მსგავსი ბრალდების მქონე მსჯავრდებული სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

ამჯერად კი უზენაესი სასამართლოს კოლეგიას პროკურატურის საჩივრის განხილვა მოუწევს, რომლის თანახმადაც, დუშეთის რაიონის პროკურატურა, ერთი ბოთლი ლუდის მითვისების გამო, დავით ბერიკაშვილისთვის 11 წლით თავისუფლების აღკვეთას ითხოვს.

საქმე ის გახლავთ, რომ ბერიკაშვილი იმავე ბრალდებისთვის დუშეთის რაიონის სასამართლომ დარბაზიდანვე გაათავისუფლა. ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილო პროკურატურის სააპელაციო საჩივრის შედეგად საოლქო სასამართლომ მას ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მაგრამ ბრალმდებლები სასამართლოს ამ გადაწყვეტილებასაც კი ლმობიერად მიიჩნევენ.

**"მიუხევადად იმისა, რომ ბერიკაშვილმა მიყენებული ზიანი მეორე დღესვე აანაზღაურა, გამოძიებამ და პროკურატურამ საქმე სასამართლომდე მაინც მიიტანეს და სასჯელად 11 წლით პატიმრობას ითხოვენ. ამ მკაცრი მოთხოვნით ბრალდების მხარე კურიოზულ სიტუაციაში აღმოჩნდა და მდგომარეობიდან გამოსვლას სასამართლოზე ზეწოლით ცდილობს, რასაც მორიგი უსამართლო ქმედებები მოჰყვება",** - აცხადებს ბრალდებულის ადვოკატი, არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენელი არჩილ ჩოფიკაშვილი.

არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლი" საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს, ყოფილ გენერალურ პროკურორს, ნუგზარ გაბრიჩიძეს მოუწოდებს, მიუკერძოებლად განიხილოს დავით ბერიკაშვილის საქმე და ობიექტური გადაწყვეტილება გამოიტანოს. "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წევრები აცხადებენ, რომ პროკურატურას და სასამართლოს ობიექტურობა მართებთ და ამგვარ საკითხებს მეტი პასუხისმგებლობით უნდა ეპყრობოდნენ.

**"როდესაც საქართველო ევროინტეგრაციისკენ მიილტვის, ზოგიერთი ფაქტები და სასამართლო პრეცედენტები ქვეყნის საერთაშორისო იმიჯსა და პრესტიჟზე უარყოფითად მოქმედებენ და საქართველოს შანსებს, ამ კუთხით, ძალზე უსუსურად წარმოაჩენენ,"** – აცხადებს ადვოკატი არჩილ ჩოფიკაშვილი, რომელიც ორ დღეში სასამართლო პროცესზე დავით ბერიკაშვილის ინტერესებს დაიცავს.

*24 საათი*

# "თვითდაზიანების ფაქტი დადასტურებულია"

"ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ვაჟმა ცოტნე გამსახურდიამ თვითდაზიანება მიიყენა. მომხდარის მიზეზისა და მოტივის დადგენა ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ გახდება შესაძლებელი", - აცხადებს ვაკე-საბურთალოს პროკურორი მამუკა გვარამია. მისი ინფორმაციით, მომხდარ ფაქტს ვაკე-საბურთალოს პროკურატურის საგამოძიებო სამსახური იძიებს.

გვარამიასვე ინფორმაციით, თვითდაზიანების ფაქტი დადასტურებულია და, სავარაუდოდ, ინციდენტი ატენის ქუჩაზე N18 -ში მცხოვრები ჭელიძეების ოჯახში მოხდა.

ცოტნე გამსახურდია მომხდარიდან რამდენიმე წუთში თბილისის მე-9 საავადმყოფოში მიიყვანეს, სადაც მას სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა. ექიმების განცხადებით, მისი მდგომარეობა კრიტიკული იყო, რადგან დაზიანებული ჰქონდა მაგისტრალური სისხლძარღვი და დაკარგული ჰქონდა დიდი რაოდენობით სისხლი. ექიმებმა მისი გადარჩენა შეძლეს. ამ დროისთვის ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

***ინტერპრესნიუსი***




## ქართულ მხარეს ჰააგის სასამართლოში გერმანული ლობი გამოუჩნდა

თბილისში გერმანიის ფედერალიზაციის კვლევითი ინსტიტუტის პროფესორები აფხაზეთში ქართველების გენოციდისა და ეთნოწმენდის მასალების მონიტორინგს ატარებენ. ეს ის მასალებია, რომელიც ექსპერტმა აფხაზეთის საკითხებში, პაატა დავითაიამ ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარუდგინა. გერმანელი პროფესორები, რომელთაგან ერთი ქალაქ ჰანოვერის მოსამართლეა, მეორე კი - ჰანოვერის ფედერალიზმის კვლევითი ინისტიტუტის დირექტორი, ამ მასალებით თებერვალში დაინტერესდნენ.

თებერვალში გერმანიაში ევროპაში ადამიანის უფლებათა დაცვის თემაზე გამართულ სემინარზე პაატა დავითაია აფხაზეთში მომხდარი მოვლენების შესახებ მოხსენებით წარდგა. მოხსენების შემდეგ გერმანელები გამოვიდნენ ინიციატივით, რომ კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე შექმნილიყო ოთხკაციანი მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ამ მასალებს შეისწავლიდა.

"ინსტიტუტის დირექტომრა იოჰანეს ტრაუტმა და ჩვენმა მეორე სტუმარმა, რომლის სახელსაც, მისივე თხოვნით, არ დავასახელებ, შეისწავლეს ჩემს ხელთ არსებული მასალები, ფოტოსურათები, ვიდეოკადრები და დარწმუნდნენ, რომ ჰააგის სასამართლოში საქმის განხილვა აუცილებელია. ისინი მოამზადებენ მოხსენებას, რომელითაც ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორს მიმართავენ", - განმარტავს პაატა დავითაია.

მისივე თქმით, საერთაშორისო სასამართლოს პროცედურა ასეთ რამეს არ ითვალისწნებს და ჰანოვერის პროფესორების ინიციატივა, მხოლოდ და მხოლოდ, გერმანული მხარის მხარდაჭერაა.

"ეს ჩვენი გერმანული ლობია, რასაც ჰააგაში ჩვენი წარმატებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს", - აცხადებს ექსპერტი აფხაზეთის საკითხებში პაატა დავითაია. **მედიანიუსი**

## საზოგადოებრივი ტელევიზიის არქივიდან მასალების დაკარგვის ფაქტს პროკურატურა იძიებს

საზოგადოებრივი ტელევიზიის არქივიდან უნიკალური მასალის დაკარგვის ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაცია პროკურატურისა და ფინანსური პოლიციის ერთობლივ ჯგუფს გადაეცა. ამჯერად არქივი დალუქულია და საქმეს პროკურატურა იძიებს. როგორც საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ლევან თარხნიშვილი აცხადებს, არქივიდან დაკარგულია უნიკალური დოკუმენტური მასალა - კერძოდ, სპორტული თამაშების ჩანაწერები, უცხოური, ქართული რადიოჩანაწერები და სხვა. თარხნიშვილის თქმით, ამ დროისთვის, არქივში არსებული მასალის შესწავლა-აღწერის მიზნით, სპეციალური ჯგუფი შეიქმნა. როგორც ტელევიზიაში განმარტავენ, არქივში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა, მასალის შენახვის პირობები სათანადოდ არ არის დაცული, რაც მასალის აღწერა-აღდგენის პროცესს ართულებს.

"ამ დროისთვის არის საკმარისი ინფორმაცია იმისთვის, რომ ფირების დაკარგვის აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით არქივის წინა ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი დაისვას. თუმცა, ჩვენ არ ვართ ის უწყება, რომელსაც ამის პრეროგატივა აქვს", - აცხადებს ლევან თარხნიშვილი. **ინტერპრესნიუსი**

## გოგი კუპრეიშვილის პროცესზე თენგიზ ასანიძეს დაკითხავენ

ბათუმის საქალაქო სასამართლო დღეს აჭარის უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილის გოგი კუპრეიშვილის საქმის განხილვას განაახლებს.

როგორც განსასჯელის ადვოკატი ეკა ბესელია აცხადებს, დღევანდელ პროცესზე ჩვენებას დაზარალებული - ბათუმის ყოფილი მერი თენგიზ ასანიძე მისცემს. საბრალდებო დასკვნის თანახმად, კუპრეიშვილს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ედება ბრალად, რაც ბათუმის ყოფილი მერის თენგიზ ასანიძის უკანონო პატიმრობაში მონაწილეობასა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობაში გამოიხატა.

დღესვე პროცესზე რამდენიმე მოწმე დაიკითხება და ადვოკატები საქმესთან დაკავშირებით ახალ დოკუმენტაციას წარადგენენ.

შეგახსენებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე გოგი კუპრეიშვილი 2004 წლის 5 მაისს (აჭარის რევოლუციის პერიოდში) დააკავეს. **ინტერპრესნიუსი**




**ENGURI REHABILITATION PROJECT**

The Independent Engineer Stucky JV SEE is seeking for a

**Junior Geologist**

The ideal candidate should have approximately 3 to 5 years practical field experience as Geologist. Further he should bilingual, Georgian and English, so that he could communicate with the Expatriate Staff.

Start of Work: As soon as possible
Working Place: Enguri Dam Site, Potsko-Etseri
Position: Site Geologist
Applications with CV shall be addressed to:

Mr. Martin Buchli, Resident Project Manager, e-mail: mbuchli@stucky.ch or

Mr. Martin Buchli
C/o PIU Office
50 Chavchavadze Ave.
0179 TBILISI

**For further information you can call Mr. M. Buchli, Tel. 8 215.5.22.93 (Site Office)**

**ენგურჰესის რეაბილიტაციის პროექტი**

დამოუკიდებელი ინჟინერი, ერთობლივი საწარმო "შტუკი" აცხადებს ვაკანსიას

**უმცროსი გეოლოგის თანამდებობაზე**

კანდიდატს უნდა გააჩნდეს 3-დან 5 წლამდე სამუშაო გამოცდილება აღნიშნულ სფეროში და უნდა ფლობდეს ინგლისურ და ქართულ ენებს.

სამუშაოს დაწყება: შეთანხმებისთანავე
სამუშაო ადგილი: ენგურჰესის კაშხალი, წალენჯიხის რ-ნი, ფოცხო-ეწერი.
თანამდებობა: უმცროსი გეოლოგი

განაცხადები რეზიუმესთან ერთად უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართებზე:

ბ-ნი მარტინ ბუქლი, პროექტის ადგილობრივი მენეჯერი, ელ. ფოსტა: mbuchli@stucky.ch ან

პროექტის აღმასრულებელი ბიურო
ჭავჭავაძის გამზ. 50
0179 თბილისი

**დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 8 215.5.22.93**

ფორმულა 1

# "სუძუკას" ბოლო წრე ფინურად

*არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ "იაპონიის დიდი პრიზი" წინამორბედი რბოლებისგან აშკარად თვალსასეირო გამოდგა. სწორედ ასეთ რბოლებზე ოცნებობდნენ სამეფო რბოლათა გულშემატკივრები. ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის ბოლოს წინა ეტაპზე მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებოდა. რბოლის კულმინაცია კი ბოლო წრე გამოდგა, როდესაც ფინელმა კიმი რაიკონენმა სეზონის მეორე გამარჯვებისკენ მიმავალ იტალიელ ჯანკარლო ფიზიკელას გვერდი აუქცია და სეზონის მეშვიდე გამარჯვება მოიპოვა.*



*რაიკონენმა იაპონიის დიდი პრიზი ბოლო წრეზე მოიგო.*

ბიგა ბურასაშვილი

მაკლარენელთა ბოსმა რონ დენისმა, რომლის საჯინიბოს ღირსებასაც იცავს ფინელი, საკუთარი მესაჭის ოსტატობით აღფრთოვანებულმა განაცხადა, "ეს მისი საუკეთესო რბოლა იყო, რაც კვლავაც გვაძლევს იმის შანსს, რომ კონსტრუქტორთა ჩათვლაში ჩემპიონობისთვის ვიბრძოლოთ".

"იაპონიის დიდ პრიზს" სწორედ რომ კონსტრუქტორთა ჩათვლაში დაწინაურების დატვირთვა ჰქონდა. ვინაიდან "რენოს" ესპანელმა მრბოლმა ფერნანდო ალონსომ "ბრაზილიის დიდ პრიზზევე" გაინაღდა პირველობა და ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონთა შორის ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონის სახელიც დაიგდო, გუშინდელი რბოლა სრულად გუნდური ტაქტიკით წარიმართა. გუნდებს შორის პირველობისთვის დუელი, რა თქმა უნდა, ინგლისურ საჯინიბო - "მაკლარენსა" და ფრანგულ "რენოს" შორის წარიმართა.

მაკლარენელები "სუძუკას" ტრასაზე გასვლამდე "რენოს" ორ ქულას უგებდნენ და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ინგლისურმა საჯინიბომ ჩემპიონატის შუაწელიდან აშკარად მოუმატა სისწრაფეში, კონსტრუქტორთა თასის დაუფლების რეალური პრეტენდენტებიც ესენი უნდა იყვნენ, მაგრამ...

კვარცხლბეკის მეორე და მესამე საფეხურები, შესაბამისად, რენოელებმა - ჯანკარლო ფიზიკელამ და ფერნანდო ალონსომ დაიკავეს. აი, მაკლარენის მეორე მრბოლს ხუან პაბლო მონტოიას კი აშკარად არ გაუმართლა: პირველივე წრეზე ჟაკ ვილნევთან გზა ვერ გაიყო და მასთან უკნიდან შეჯახებით ბოლიდი დაამსხვრია. აქედან გამომდინარე კოლუმბიელის ავარიამ რენოელებს კონსტრუქტორთა ჩათვლაში დაწინაურებისკენ გაუხსნა გზა.

მაკლარენელთაგან საჯინიბოს ტვირთი სრულად რაიკონენს დააწვა მხრებზე. არადა, არც მის შემთხვევაში იყო საქმე სანუგეშოდ. ფინელმა რბოლა მე-17 პოზიციიდან დაიწყო, მაგრამ იმდენი მოახერხა, რომ მოწინავეთა შორის გაიკაფა გზა და ბოლო წრეზე იმდენი მოახერხა, რომ ფიზიკელას პირველობა ცხვირწინააცალა. ამიტომაც იყო, რომ ფიზიკელას კვარცხლბეკზე დანა პირს არ უხსნიდა.

ერთი სიტყვით, "იაპონიის დიდი პრიზის" შემდეგ "მაკლარენი" "რენოსთან" ორ ქულას აგებს, რაც იმას ნიშნავს, რომ კონსტრუქტორთა თასის ბედი "ჩინეთის დიდ პრიზზე", ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე შანხაიში გაირკვევა.

**კონსტრუქტორთა ჩათვლა**

| | | |
|---|---|---|
| 1. | "რენო" | 176 ქულა |
| 2. | "მაკლარენი" | 174 |
| 3. | "ფერარი" | 100 |
| 4. | "ტოიოტა" | 82 |
| 5. | "უილიამსი" | 64 |
| 6. | BAR | 37 |
| 7. | "რედ ბული" | 30 |
| 8. | "ზაუბერი" | 17 |
| 9. | "ჯორდანი" | 12 |
| 10. | "მინარდი" | 7 |

Save the Children.

# განცხადება

საერთაშორისო ორგანიზაცია "გადავარჩინოთ ბავშვები" და ფონდი "ერანი" ახორციელებს შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაფინანსებულ პროექტს "იძულებით გადაადგილებული პირთა კომუნალური ცენტრების რეაბილიტაცია საქართველოში". ამ პროექტის ფარგლებში ცხადდება ტენდერი შემდეგი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად:

ლოტი 1- მცხეთაში წეროვანის მანქანათა საგამოცდო სადგურის სასტუმროში სახურავის მოწყობა, ელ. მომარაგების სამუშაოები, კარ ფანჯრების მოწყობა და კანალიზაცია-წყალმომარაგება;

ლოტი 2- თბილისში დეპო N2, სახურავის მოწყობა, შიდა ელ. მომარაგება, ფანჯრების შემინვა და დამცავი მოაჯირის მოწყობა;

ლოტი 3- გარდაბნის პროფ. სასწავლებლის საერთო საცხოვრებელში სახურავის მოწყობა, ელ. მომარაგების სამუშაოები, კარ-ფანჯრების მოწყობა, სან კვანძების მოწყობა და კანალიზაცია/წყალმომარაგება;

ლოტი 4- თბილისის 138 პროფ. სასწავლებელში გარე და შიდა ელ. მომარაგების სამუშაოები;

ლოტი 5- თბილისის საფინანსო ტექნიკუმის საერთო სასწავლებელი გარე და შიდა ელ. მომარაგება.

სატენდერო დოკუმენტაციისა და დამატებითი ინფორმაციის მიღება ტენდერში მონაწილეობით დაინტერესებულ ორგანიზაციებს შეეძლებათ 10 ოქტომბრიდან შემდეგ მისამართებზე:

ქ. თბილისი ლესელიძის ქ. N32; საკონტაქტო პირი მალხაზ ქორთუა ტელ: 822 98 59 14;

877 45 10 80 და ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N89. მე-2 სართული, (ყოფილი სასტუმრო "ოდიშის" შენობა) საკონტაქტო პირი ნატო მესხია, ტელ: 8215 5 01 77; 893 96 07 27

სატენდერო წინადადებები წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგ მისამართებიდან ერთ-ერთზე:

21 ოქტომბერს 15:00 საათამდე ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ.N89 და 24 ოქტომბრის 12:00 საათამდე ქ. თბილისი ლესელიძის ქ.N32.

*სატენდერო კომისია*

ფეხბურთი

# უსახელონი

კახა ფაჩუაშვილი

საქართველოს ნაკრებმა კიდევ ერთი უსახელო ფურცელი ჩაწერა თავისი არსებობის ისტორიაში. ჩვენებმა კიდევ ერთხელ გამოიჩინეს გულისხმიერება და გაჭირვებულს მხარში ამოუდგნენ. ყაზახეთის ნაკრებს შაბათს ისტორიული დღე ჰქონდა. მან ევროპის ზონის შესარჩევ ტურნირში პირველი ქულა მოიპოვა და რაღა თქმა უნდა, საქართველოში. ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყოფილა შემთხვევა, როცა ქართველ ფეხბურთელებს გულისხმიერება გამოუჩენიათ. კატასტროფის შემდეგ აღდგენილმა ტაშკენტის "ფახთაქორმა" თავის დროზე პირველი გამარჯვება სწორედ თბილისის "დინამოსთან" შეხვედრაში იზეიმა. მსგავსი საქციელისთვის "დინამო" საბჭოეთის პერიოდში ჯენტლმენი გუნდის იმიჯითაც კი სარგებლობდა.

დღესაც შეგვიძლია ასეთი იმიჯით ვიამაყოთ - რაკი საფეხბურთო მინდორზე არაფერი გამოგვდის, რომ იტყვიან კაცის სახელს მაინც დავტოვებთ მეტოქეთა თვალში. რატომაც არა? ყაზახეთი ჩვენი მეგობარი ქვეყანაა. დიდ ინვესტიციებს აბანდებს ქართული ინფრასტრუქტურის განვითარებაში. მარტო სასტუმრო "ივერიას" აღსადგენად და რესპუბლიკის მოედნის რეკონსტრუქციისთვის მინიმუმ 100 მილიონი დოლარი დაბანდდება. ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევიც დიდი ზარ-ზეიმით მივიღეთ და რა მოხდა, თუ მოძმე ყაზახებს პირველ ევროპულ ქულასაც თბილისიდან გავატანთ. ჩვენ ხომ ჩვენი გულისხმიერებით მოძმე უკრაინაც არ გავაწბილეთ და მსოფლიო ჩემპიონატის საგზური



*დემეტრაძემ პენალტი ვერ გამოიყენა.*

ბლოხინის გუნდმაც თბილისური მატჩის შემდეგ მოიპოვა. ეს ირონიანარევი ხუმრობით...

სინამდვილეში კი, უბრალოდ, თავს ვიტყუებთ, რადგან მომავალი ციკლიც ისევე უსახელოდ ჩაივლის, როგორც ამჟამინდელი... იმიტომ, რომ სათანადო ინფრასტრუქტურა, ფეხბურთელები, მწვრთნელი და ქვეყანაში ფეხბურთის განვითარების გეგმა არ გვაქვს. მეგობრების წრეში ხშირად გვისაუბრია ნაკრების მწვრთნელის შესახებ და გაირკვა, რომ არსებობს აზრი, - რაკი არ გვაქვს სათანადო ინფრასტრუქტურა, ქვეყანაში ფეხბურთის განვითარების გეგმა და უმაღლესი კატეგორიის საკმარისი რაოდენობის სპეციალისტები, ვინც მოზარდ ფეხბურთელებს გზაზე დააყენებენ, უცხოელი მწვრთნელის ჩამოყვანას აზრი ეკარგება.

დაიხარჯება დიდი თანხა და სამაგიეროდ ვერც ერთი დიდი სპეციალისტი დიდ გუნდს ვერ დააყენებს, რადგან არ გვაქვს საძირკველი. ხოლო, როცა საძირკველი ჩაიყრება, მაშინ ჩვენი ქვეყნის ნაკრებს აუცილებლად ეყოლება უმაღლესი კატეგორიის გამოცდილი მწვრთნელი. რაკი გაიოზ დარსაძეს აღმასკომის სხდომაზე ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს, უნდა ვივარაუდოთ, რომ საფეხბურთო მეურნეობას საქართველოში ორ წელიწადში ჩაეყრება საფუძველი. და ამ დროისთვის ფეხბურთელებიც მზად იქნებიან მაღალი მიზნებისთვის საბრძოლველად.

ამდენად, აქედანვე უნდა ვიცოდეთ, რომ მომდევნო შესარჩევი ციკლიც ჩვენთვის უსახელოდ დასრულდება. უნდა ვიცოდეთ და ნუ გვექნება ილუზია, რომ ჩვენი გუნდი ევროპული დონის ნაკრებებს გაწვდება და ვთქვათ, რუმინეთის, შვეიცარიის, სლოვაკეთის ან ნორვეგიის დონეზე დადგება, რომლებიც ამჟამად მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრისთვის იბრძვიან.

ეს, რა თქმა უნდა, გვეცოდინება, მაგრამ თუ საძირკველი ორ წელიწადშიც ცხადად არ გამოჩნდება, მაშინ კვლავ მოტყუებულნი დავრჩებით და ეს ტყუილი უფრო დიდი დარტყმა იქნება ჩვენთვის, ვიდრე აქამდე ვიგემეთ. საშიშროება კი არსებობს, რომ კვლავ მოტყუებულნი დავრჩეთ, რადგან საძირკველის ჩაყრას გამოცდილი, თანამედროვე ყაიდის სპეციალისტები სჭირდება, რომელიც საქართველოს აშკარად არ ჰყავს და ამ მდგომარეობაში როგორ აპირებს სფფ-ის ხელმძღვანელობა ქართული საფეხბურთო მეურნეობის მოწყობას, ჩემთვის პირადად გამოცანად რჩება.

ჯერ კიდევ უცნობია როგორ მოახერხებს კოორდინირებულ მოქმედებას გაიოზ დარსაძის თანაშემწეთა ჯგუფი - იტალიელი, ფრანგი და გერმანელი სპეციალისტი, რომელთაც ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული საფეხბურთო აზროვნება აქვთ და აბსოლუტურად სხვადასხვა საფეხბურთო სკოლებს არიან ნაზიარები. რამდენად მართებულია ნაკრების მწვრთნელთან დაკავშირებით სფფ-ის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება, ამას დრო გვიჩვენებს. მანამდე კი, ალბათ, კიდევ ერთი უსახელო მატჩი გველოდება ათენში, სადაც ბერძნები თავისი გულშემატკივრის თვალში რეაბილიტაციის მოხდენას შეეცდებიან.

# ადგილები ივსება

ჰოლანდიის, პოლონეთის, ინგლისის, იტალიის და ხორვატიის ნაკრები გუნდები მომავალი წლის ზაფხულში გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრებიან. ასეთი გახლავთ გუშინწინ ევროპაში გამართული შესარჩევი შეხვედრების მთავარი შედეგი.

პირველ ჯგუფში ორი შეხვედრა გაიმართა. ელსინკში ფინეთის ნაკრებმა რუმინეთს უმასპინძლა და მინიმალური ანგარიშით, 0:1 დამარცხდა. მორიგი გოლი გაიტანა ადრიან მუტუმ. ეს 41-ე წუთზე მოხდა - მუტუმ თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა ზუსტად შეასრულა. ამ გამარჯვებით დაასრულეს რუმინელებმა გამოსვლა შესარჩევ ტურნირში. მათ 25 ქულა დაუგროვდათ და ჯერჯერობით, ჩეხეთის ნაკრებს, რომელმაც ჰოლანდიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა, ერთი ქულით უსწრებენ.

ეს მატჩი მთელი ევროპის მასშტაბით ცენტრალურად იყო მიჩნეული. წარმატების შემთხვევაში, ჩეხები, სულ მცირე, საპლეიოფო მეორე ადგილს ინაღდებდნენ და ამით მოტივირებული მასპინძლები პირველივე წუთებიდან უტევდნენ ვან დერ საარის კარს. პირველი ნახევარი საათი საკმაოდ ნერვიულ ატმოსფეროში და დაძაბულ ბრძოლაში გაილია. 30-ე წუთზე კი ბაროშის წაქცევისათვის მსაჯმა დანიშნა პენალტი! ბურთთან მივიდა როსიცკი, კარგადაც დაარტყა - მეკარისაგან მარცხენა დაბალ კუთხეში, თანაც, საკმაოდ ძლიერადაც, მაგრამ, ბედად, ვან დერ საარი ზუსტად იმ კუთხეში გადახტა და მოიგერია. ზუსტად ერთ წუთში, გამოუყენებელი მომენტისათვის ჩეხები დაისაჯნენ: ვან დერ ვარტმა რობენისგან მიღებული საგოლე პასი შეიშნოვა და პეტერ ჩეხი უსაქმოდ დატოვა - 0:1. რამდენიმე წუთში მასპინძლებმა შეძლეს ანგარიშის გაქვითვა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. 38-ე წუთზე კი უკვე რობენმა გაიტანა თავური დარტყმით გოლი და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. ამ გამარჯვებით ჰოლანდიელებმა მსოფლიო ჩემპიონატის საგზური გაინაღდეს. რაც შეეხებათ ჩეხებს, საპლეიოფო რაუნდში გადასასვლელად მათ ფინელებთან დარჩენილ შეხვედრაში მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ.

მე-2 ჯგუფში ერთი ისტორიული მოვლენა მოხდა: ყაზახეთის ნაკრებმა შესარჩევ ტურნირში პირველი ქულა მოიპოვა. ამის თაობაზე "24 საათი" უფრო ვრცელ სტატიას გთავაზობთ. დანარჩენი შეხვედრებიდან გამოსარჩევია დანიის გამარჯვება ევროპის ჩემპიონ საბერძნეთთან მინიმალური ანგარიშით 1:0. გამარჯვების გოლი დანიელთაგან გრავგაარდმა გაიტანა. უმოტივაციო უკრაინამ



*ფრენკ ლამპარდმა ინგლისის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე გაიყვანა.*

კი, რომელმაც უკვე წინა ტურში გაინაღდა ფინალური ეტაპის საგზური, საკუთარ კედლებში ალბანეთთან ფრედ, 2:2 ითამაშა. ამ ჯგუფში პლეიოფში გამსვლელი მეორეადგილოსანის ვინაობა ბოლო ტურში გაირკვევა. ყველაზე კარგი შანსი თურქებს აქვთ, რომლებსაც ალბანეთში გამარჯვების შემთხვევაში ვერც დანიელები და ვერც ბერძნები ვეღარ დაეწევიან.

მეოთხე ჯგუფში ვითარება კვლავაც გაურკვეველია. მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონმა საფრანგეთმა შვეიცარიასთან გასვლით შეხვედრაში ოდენ ქულა მოიპოვა. მართალია, 51-ე წუთზე სისემ ფრანგები დააწინაურა, მაგრამ შეხვედრის დასრულებამდე 11 წუთით ადრე მანინმა საპასუხო გოლი გაიტანა და მასპინძლებს ქულა მოაპოვებინა.

ისრაელმა და ირლანდიამ კი მორიგი 3-3 ქულა მიითვალეს: ირლანდიამ კვიპროსი (1:0), ხოლო ისრაელმა ფარერის კუნძულები (2:1) დაამარცხა. დღეის მდგომარეობით ჯგუფში პირველ ადგილზე ისრაელის ნაკრებია 18 ქულით, 17-17 ქულა დაუგროვდათ ფრანგებს და შვეიცარლებს, ირლანდიის აქტივში კი 16 ქულაა.

**I ჯგუფი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 11 | 10 | 1 | 0 | 27:3 | 31 |
| რუმინეთი | 12 | 8 | 1 | 3 | 20:10 | 25 |
| ჩეხეთი | 11 | 8 | 0 | 3 | 32:12 | 24 |
| ფინეთი | 11 | 5 | 1 | 5 | 21:16 | 16 |
| მაკედონია | 11 | 2 | 2 | 7 | 11:24 | 8 |
| ანდორა | 11 | 1 | 2 | 8 | 4:31 | 5 |
| სომხეთი | 11 | 1 | 1 | 9 | 6:25 | 4 |

**II ჯგუფი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 12 | 7 | 4 | 1 | 18:7 | 25 |
| თურქეთი | 11 | 5 | 5 | 1 | 22:9 | 20 |
| დანია | 11 | 5 | 4 | 2 | 22:11 | 19 |
| საბერძნეთი | 11 | 5 | 3 | 3 | 14:9 | 18 |
| ალბანეთი | 11 | 4 | 1 | 6 | 11:19 | 13 |
| **საქართველო** | **11** | **2** | **4** | **5** | **14:24** | **10** |
| ყაზახეთი | 11 | 0 | 1 | 10 | 5:27 | 1 |

**III ჯგუფი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 11 | 8 | 3 | 0 | 32:5 | 27 |
| სლოვენია | 11 | 6 | 4 | 1 | 24:8 | 22 |
| რუსეთი | 11 | 6 | 4 | 1 | 23:12 | 22 |
| ლატვია | 11 | 4 | 3 | 4 | 18:18 | 15 |
| ესტონეთი | 11 | 4 | 2 | 5 | 14:17 | 14 |
| ლიხტენშტეინი | 12 | 2 | 2 | 8 | 13:23 | 8 |
| ლუქსემბურგი | 11 | 0 | 0 | 11 | 5:46 | 0 |

**IV ჯგუფი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისრაელი | 10 | 4 | 6 | 0 | 15:10 | 18 |
| შვეიცარია | 9 | 4 | 5 | 0 | 18:7 | 17 |
| საფრანგეთი | 9 | 4 | 5 | 0 | 10:2 | 17 |
| ირლანდია | 9 | 4 | 4 | 1 | 12:5 | 16 |
| კვიპროსი | 9 | 1 | | 1 | 7 8:16 | 4 |
| ფარერები | 10 | 0 | 1 | 9 | 4:27 | 1 |

**V ჯგუფი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 9 | 6 | 2 | 1 | 15:7 | 20 |
| ნორვეგია | 9 | 4 | 3 | 2 | 11:7 | 15 |
| სლოვენია | 9 | 3 | 3 | 3 | 10:10 | 12 |
| ბელორუსი | 9 | 2 | 4 | 3 | 12:13 | 10 |
| შოტლანდია | 9 | 2 | 4 | 3 | 6:7 | 10 |
| მოლდოვა | 9 | 1 | 2 | 6 | 4:14 | 5 |

**VI ჯგუფი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 9 | 8 | 0 | 1 | 26:7 | 24 |
| ინგლისი | 9 | 7 | 1 | 1 | 15:4 | 22 |
| ავსტრია | 9 | 3 | 3 | 3 | 13:12 | 12 |
| ჩრდ. ირლანდია | 9 | 2 | 3 | 4 | 10:16 | 9 |
| უელსი | 9 | 1 | 2 | 6 | 8:15 | 5 |
| აზერბაიჯანი | 9 | 0 | 3 | 6 | 1:19 | 3 |

**VII ჯგუფი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 9 | 5 | 4 | 0 | 15:1 | 19 |
| ესპანეთი | 9 | 4 | 5 | 0 | 13:3 | 17 |
| ბოსნია | 9 | 4 | 4 | 1 | 12:8 | 16 |
| ბელგია | 9 | 3 | 2 | 4 | 15:10 | 11 |
| ლიტვა | 9 | 2 | 3 | 4 | 7:8 | 9 |
| სან-მარინო | 9 | 0 | 0 | 9 | 2:34 | 0 |

**VIII ჯგუფი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 9 | 7 | 2 | 0 | 21:5 | 23 |
| შვედეთი | 9 | 7 | 0 | 2 | 27:3 | 21 |
| ბულგარეთი | 9 | 4 | 2 | 3 | 16:16 | 14 |
| უნგრეთი | 9 | 4 | 1 | 4 | 13:14 | 13 |
| ისლანდია | 9 | 1 | 1 | 7 | 13:24 | 4 |
| მალტა | 9 | 0 | 2 | 7 | 3:31 | 2 |

დიდია ალბათობა იმისა, რომ ისრაელი მაინც ფინალურ ეტაპს მიღმა დარჩეს, რადგან ამ გუნდმა უკვე დაასრულა შესარჩევ ტურნირში ასპარეზობა. ბოლო ტურში საფრანგეთი ფარერებს ეთამაშება, ხოლო ირლანდია შვეიცარიას უმასპინძლებს.

მე-5 ჯგუფში გლაზგოში სენსაციური შედეგი დაფიქსირდა: შოტლანდიის ნაკრები ბელორუსთან დამარცხდა ანგარიშით 0:1. გოლი მე-6 წუთზე ვიტალი კუტუზოვმა გაიტანა. ჯგუფის სხვა ორი შეხვედრაც ანალოგიური ანგარიშით დასრულდა. იტალიელებმა და ნორვეგიელებმა შესაბამისად სლოვენია და მოლდოვა დაამარცხეს. ამ გამარჯვებით "სკუადრა აძურამ" ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდა, ხოლო მეორე ადგილს, სავარაუდოდ, ნორვეგია დაიკავებს, რომელსაც, ბოლო ტურში, ბელორუსთან საშინაო შეხვედრაში ფრეც ხელს აძლევს.

მე-6 ჯგუფში უკვე ყველაფერი გაირკვა, თუმცა, კიდევ ერთი ტური დარჩა გასამართი. პოლონეთის და ინგლისის ნაკრებმა გუნდებმა უკვე გაინაღდეს ქვეჯგუფის პირველი ორი ადგილი. საკითხავი მხოლოდ ისაა, თუ როგორ განაწილდება პირველ-მეორე ადგილები. ეს კი მომავალ ოთხშაბათს ლონდონში გადაწყდება, სადაც ერთმანეთს სწორედ ინგლისის და პოლონეთის გუნდები დაუპირისპირდებიან.

შაბათის შეხვედრების შემდეგ მე-7 ქვეჯგუფში პირველ ადგილზეა სერბეთის ნაკრები, რომლის აქტივშიც 19 ქულაა. სერბებმა ლიტვის ნაკრებს სძლიეს ანგარიშით 2:0 (კეჟმანი და ვუკიჩი). ლიდერს ორი ქულით ჩამორჩება ესპანეთი, რომელმაც გასვლით შეხვედრაში ბელგია დაამარცხა იდენტური ანგარიშით 2:0. ამ მატჩში დუბლით გამოირჩა ფერნანდო ტორესი. მესამე ადგილზე მყოფ ბოსნია-ჰერცეგოვინის გუნდს, რომელმაც სან-მარინოს სძლია 3:0, 16 ქულა დაუგროვდა. ბოლო ტურში ესპანეთი სან მარინოს ეთამაშება, ხოლო სერბეთი ბოსნიას უმასპინძლებს.

მერვე ჯგუფში მოასპარეზე ხორვატიამაც გაინაღდა გერმანიის საგზური. შესაძლოა, ხორვატები ჯგუფში მეორე ადგილზეც აღმოჩნდნენ, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ეს გუნდი მუნდიალის საგზურს მიიღებს, როგორც საუკეთესო მეორე ადგილის მფლობელი. ასეთი კი ევროპის შესარჩევ ზონაში ორი საგზურია. შაბათს ხორვატებმა შვედეთის გუნდს უმასპინძლეს და 1:0 დაამარცხეს, რითაც მეტოქეს და მთავარ კონკურენტს 2 ქულით გადაუსწრეს. ბოლო ტურში ხორვატია უნგრეთს სტუმრობს, ხოლო შვედეთი ისლანდიას უმასპინძლებს.

# ლაშა და მხატვრები

**ლაშა ბუღაძე:** დღეს თანამედროვე დასავლურ მხატვრობაში მიმდინარე პროცესებზე ვისაუბრებთ. ჩვენი სტუმარი სოფიო ტაბატაძე დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა და სწავლობდა ევროპაში. იგი ცოტა ხნის წინ დაბრუნდა საქართველოში და სურათების ეროვნულ გალერეაში საკმაოდ არატრადიციული გამოფენა მოაწყო.

**სოფიო ტაბატაძე:** ამ გამოფენაზე არატრადიციული, ალბათ, ჩემ მიერ წარმოდგენილი ინსტალაციები იყო. იქ ნინო ფურცხვანიძის ფოტონამუშევრებიც იყო გამოფენილი. მან წარმოადგინა ფოტოები ერთიანი სახელწოდებით "წინა საუკუნის ქართველები", მე კი გავაკეთე ინსტალაცია, რომელიც საქართველოს დღევანდელობას ასახავდა. ჩემი ნამუშევრებით შენობების ფასადისა და უკანა მხარის შედარებას ვახდენდი - როდესაც წინიდან ყველაფერი გალამაზებულია, ხოლო უკანა მხარეები ჩამოფხავებული და დამალული.

**ლაშა ბუღაძე:** ჩვენი მეორე სტუმარია ხელოვნებათმცოდნე ინგა ქარაია. ინგა, მხატვრობა ბოლო დროს მეტწილად კონცეპტუალური გახდა. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ტრადიციული მხატვრობა ანაქრონიზმად იქცა?

**ინგა ქარაია:** ამას ასე გადაჭრით ვერ ვიტყვით, რადგან საქართველოში ჩატარებული თითქმის ყველა კონცეპტუალური გამოფენა, გარკვეულწილად სურათოვნების ელემენტებსაც ატარებს. ეს კი ნიშნავს, რომ ტრადიციების გარეშე თანამედროვე მხატვრობა ძნელად არსებობს. საქართველოში ეს პროცესი აშკარად შესამჩნევია.

**ლაშა ბუღაძე:** სოფიო, შენ ჰოლანდიაში სწავლობდი. რა სხვაობაა იქაურ და საქართველოში დანერგილ სწავლების პროცესებს შორის?

**სოფიო ტაბატაძე:** კონცეპტუალური მხატვრობის კონცეფცია იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სურათოვნებამ ან ტილოზე აღბეჭდილმა ნივთმა, შესაძლოა, მეორე პლანზე გადაინაცვლოს ან საერთოდ გაქრეს. დასავლეთში უფრო მნიშვნელოვანია იდეიდან გამომდინარე თემა, ეს კი ძალიან შრომატევადი სამუშაოა, ამიტომ იქაური სწავლების პროცესი ნაკლებად თავისუფალია. ვფიქრობ, თბილისის სამხატვრო აკადემიაში უფრო მეტი თავისუფლებაა, რადგან არავინ არაფერს არ აკეთებს. ჰოლანდიის სამხატვრო აკადემიაში ჩაბარება ძალიან ძნელია, მაგრამ კურსიდან კურსზე გადასვლა უფრო რთული. შეიძლება ერთ დღეს გამოგიცხადონ, რომ მაგარი ხარ, მაგრამ ვერ ვითარდები. შემოქმედებით ზრდას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

**ლაშა ბუღაძე:** რამდენად ითხოვენ აკადემიურ სწავლებას. მაგალითად, თაბაშირის ფიგურების დახატვას ან მსგავს რამეს?

**სოფიო ტაბატაძე:** თუ მოგინდება, შეგიძლია მსგავსი სავარჯიშოებიც გააკეთო. იქ მთავარი მაინც იდეა და აზრია. ასეთ შემთხვევაში კი მნიშვნელოვანია, ზუსტად იცოდე, რა გინდა, მასალას და ფორმას კი ადვილად მოძებნი. თუმცა თბილისის აკადემიაში მიღებული ბაზისი მაინც დამეხმარა. იმ შემთხვევაში, თუ ჩემი ჰოლანდიელი თანაკურსელები ამ ბაზისის არქონის გამო ერთი მარტივი ფიგურის დახატვასაც ვერ ახერხებდნენ, მაშინ დახმარებისთვის ფოტოგრაფიას ან ვიდეომასალას იშველიებენ.

**მსმენელი:** თუ სოფიო კონცეპტუალური მხატვრობის მომხრეა, რატომ აირჩია ისეთი კლასიკური სასწავლებელი, როგორიც სამხატვრო აკადემიაა?

**სოფიო ტაბატაძე:** თბილისის აკადემიაში მხოლოდ ერთ წელს ვისწავლე და ჰოლანდიაში გავემგზავრე იმის გამო, რომ აქაური სწავლება არანაირად არ მომწონდა. იქაურ აკადემიაში არის როგორც კლასიკური, ისე კონცეპტუალური ხელოვნების სწავლება და ისინი ერთმანეთს არ უპირისპირდება. კონცეპტულაური სწავლების არჩევა არ ნიშნავს, რომ აკადემიული არ დაგჭირდება.

**ლაშა ბუღაძე:** სოფიომ საზღვარგარეთ სწავლა არჩია, რადგან აქ რაღაცამ არ დააკმაყოფილა და ვერ დაინახა საჭირო სივრცე საკუთარი შემოქმედებისთვის. რისი ბრალია, რომ ახალგაზრდა შემოქმედები კლასიკურ მხატვრობას არქაულს ეძახიან?

**ინგა ქარაია:** ჩემთვის ცნობილია, რომ თბილისი სამხატვრო აკადემიით უკვე დაინტერესდნენ უცხოელი სპეციალიტები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ აკადემიური სწავლება მეტად მნიშვნელოვანი და მხატვრის განვითარებისათვის აუცილებელია. ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება უცხოელი სტუდენტების სტაჟირებაზე ჩვენს აკადემიაში. რაც შეეხება ახალგაზრდების გადინებას საქართველოდან, ეს, ალბათ, იმის ბრალია, რომ აქ ნაკლებად ისწავლება თანამედროვე მეთოდები. კარგი იქნება, თუ ჩვენი სტუდენტების სტაჟირება უცხოეთში უფრო ინტენსიური გახდება.

**სოფიო ტაბატაძე:** ეს, მართლაც, კარგი იქნება, მაგრამ მსგავსი სწავლების ორგანიზება აქაც შეიძლება. მე იმიტომ ჩამოვედი, რომ საქართველოში ბევრად საინტერესო ცვლილება პირდაპირ ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს. თავადაც ამ პროცესის მონაწილეები ვართ, ეს კი მხატვრებისთვის საუკეთესო დრო და გარემოა. ამრიგად მხოლოდ საზღვარგარეთ წასვლა გამოსავალი არ არის. ნურც იმას იფიქრებს ვინმე, რომ სხვაგან მხატვარს უფრო მეტს უხდიან. ნებისმიერ შემთხვევაში გჭირდება დამფინანსებელი.

**ინგა ქარაია:** ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია. საქართველოში არის რამდენიმე მხატვარი, რომლებიც კარგად მუშაობდნენ თანამედროვე მხატვრობაში და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს. მაგრამ მას შემდეგ გამოჩნდა ახალი თაობა, რომელსაც თითქმის არ იცნობენ, მაგრამ ძალიან საინტერესო ხელოვანები არიან. ჩემთვის ცნობილია, რომ არსებობს პროექტები, რომელიც ამ ხელოვანებს თავს მოუყრის და მათ საზოგადოებისთვის გაცნობას და შემდგომ პოპულარიზაციას მოემსახურება. იმედი მაქვს, რომ ეს პროექტი მალე განხორციელდება. სოფიოს დავეთანხმები იმაში, რომ საქართველოში ბევრი მასალაა აქტუალური ხელოვნების შესაქმნელად. ჩემთვის ცნობილია, რომ საზღვარგარეთ საკმაოდ ბევრი მხატვარია წასული, მათ დასაბრუნებლად კი გარკვეული პირობების შექმნაა საჭირო. გარდა ამისა, აუცილებელია, ინფორმაციული გარემოს შექმნა, რომელიც მსოფლიოს გააცნობს, რომ ქართული მხატვრობაც არსებობს. საქართველოში კი არც სამხატვრო პერიოდული ლიტერატურა გამოიცემა და არც ტელე ან რადიო გადაცემები არსებობს. ეს კი ნიშნავს, რომ მხატვრობა ჩვენს ქვეყანაში არააქტუალური ხელოვნებაა.

**ლაშა ბუღაძე:** საინტერესოა, რამდენად აქტუალურია მხატვრობა ევროპაში?

**სოფიო ტაბატაძე:** ევროპაში მხატვრობა, ისევე როგორც ყველა სხვა დარგი, საკუთარ გარემოშია მოქცეული. გამოფენებზე მხოლოდ ერთი, ადამიანების გარკვეული წრე დადის. ამ მხრივ საქართველოში გაცილებით კარგი მდგომარეობაა.

**ინგა ქარაია:** თუმცა ასეთი სურათი მხოლოდ გამოფენის გახსნის დღეს გვხვდება, შემდეგ დღეებში მხოლოდ მხატვრობასთან დაკავშირებული დამთვალიერებელი დადის.

**სოფიო ტაბატაძე:** ასეა ყველა ქვეყანაში. მაგრამ ევროპაში გახსნაზეც მხოლოდ ზემოთ ნახსენები წრე დადის.

**ლაშა ბუღაძე:** საინტერესოა, რა სახით არსებობს დღეს ქართული მხატვრობა, რა პროცესები მიმდინარეობს ჩვენთან ამ სფეროში?

**ინგა ქარაია:** ვერ ვიტყვი, რომ ამ სფეროში ჩვენთან მნიშვნელოვანი პროცესები მიმდინარეობს. გარკვეული ძვრები უფრო 15 წლის წინ შეიმჩნეოდა. ჩვენთან პოპულარულია პოსტმოდერნისტული, კონცეპტუალური მხატვრობა, ინსტალაცია, თუმცა ეს ყველაფერი მსოფლიო პროცესებს ძნელად უტოლდება. ეს იმის ბრალიცაა, რომ გამოფენები არ იმართება. თბილისში უამრავი გალერეაა, მაგრამ იქ, ძირითადად, ერთი და იგივე მხატვრები იფინებიან. შეიძლება ითქვას, რომ 80-იან წლებში დაწყებული პროცესები ინერციით გრძელდება. დღეს ნამუშევრებიც ცუდად იყიდება, თანაც ძალიან იაფად. ამას ისიც ემატება, რომ ნამუშევრის მყიდველიც არ არის და, ძირითადად, უცხოელები ყიდულობენ.

**ლაშა ბუღაძე:** რა ფუნქციას ასრულებენ დღეს ის ორგანიზაციები, რომლებსაც მხატვრების ხელშეწყობა ევალებათ?

**ინგა ქარაია:** მხატვართა კავშირი ფიზიკურად არსებობს, მაგრამ ვერაფრის გაკეთებას ვერ ახერხებს.

**ლაშა ბუღაძე:** ვის უნდა მიმართოს მხატვარმა, როდესაც გამოფენის მოწყობა და საკუთარი ნამუშევრების საზოგადოებისთვის გაცნობა სურს?

**ინგა ქარაია:** ამ შემთხვევაში უნდა მიმართოს გალერეას. გალერისტი ვალდებულიცაა თავად მოძებნოს მხატვარი და დაეხმაროს გამოფენის მოწყობაში. როგორც გითხარით, დღეს, ძირითადად, ერთი და იგივე მხატვრები იფინებიან, რაც კერძო გალერეების მხრიდან გარკვეულ პირად დამოკიდებულებებზეც მიანიშნებს.

**სოფიო ტაბატაძე:** ამ მხრივ მხატვრებმაც უნდა იაქტიურონ. მხოლოდ გალერეების იმედზე დარჩენა შეუძლებელია.

**ლაშა ბუღაძე:** ამ მხრივ რა მდგომარეობაა ევროპაში?

**სოფიო ტაბატაძე:** თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა.

**ლაშა ბუღაძე:** რა მდგომარეობაა ახალ ნაკადთან დაკავშირებით? რამდენად ინტერესდებიან სტუდენტები სიახლით?

**ინგა ქარაია:** იმ ნიჰილისტურმა გარემომ, რომელიც ბოლო დროს არსებდა, ამ მხრივაც იქონია გავლენა. გარდა ამისა, მათაც კარგად იციან, რომ აქაური სწავლების პროცესი დასახვეწია და მეთოდები უნდა შეიცვალოს. უნდა ამოივსოს ბოლო წლებში დაგროვილი ვაკუუმი არა მხოლოდ სტუდენტებში, არამედ პედაგოგებშიც. თუმცა, საბედნიეროდ, აკადემიაში მაინც არის ჯგუფები, რომლებიც საკმაოდ წარმატებით მოღვაწეობენ. ასეთი ჯგუფები აკადემიის კურსდამთავრებულებსაც აქვთ ჩამოყალიბებული. ისინი საკუთარი თავს მსოფლიოს ინტერნეტის საშუალებითაც აცნობენ და უნდა ითქვას, რომ დიდ წარმატებებსაც აღწევენ.

**ლაშა ბუღაძე:** ინგა, თქვენ კულტურის სამინისტროს წარმოადგენთ. ეს სახელმწიფო სტრუქტურა თუ გეგმავს სიახლეებს?

**ინგა ქარაია:** მომავალი წლისთვის სერიოზული გეგმის განხორციელებას ვაპირებ სამუზეუმო საქმეში. ეს იქნება პროექტი, რომელიც მუზეუმებში თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების გამოფენას განახორციელებს.

**სოფიო ტაბატაძე:** რაც შეეხება ჩემს მომავალ გეგმებს, ვაპირებ შევქმნა ისეთი პლატფორმა, რომელიც ჰოლანდიელ მხატვრებს დააინტერესებს. ბევრ მათგანს ვიცნობ და მიმაჩნია, რომ მათთან ურთიერთობა აქაური მხატვრებისთვის საინტერესო იქნება.





# ძველი სახლები ძველი ნივთებისთვის

### ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდში ახალი კარადები დამონტაჟდა



ეს სახლები ხარაგაულის რაიონის რომელიღაც სოფელში ათეულობით წლების განმავლობაში იდგა, ხოლო მათი ამშენებლები ალბათ ვერასდროს წარმოიდგენდნენ, რომ ოდესმე, 21-ე საუკუნეში, ვინმე ახალ დანიშნულებას მოუძებნიდა. გუშინ ამ სახლების "ახალი როლის" პრეზენტაცია გაიმართა - შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცული ექსპონატები ამიერიდან ამ სახლების მასალისგან დამზადებულ ახალ კარადებში განთავსდება.

ახალი კარადები მუზეუმის ოქროს ფონდში განათავსეს. დასრულებული სამუშაოები უკვე მოინახულა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა, რომელიც კარადების დამონტაჟებასაც დაესწრო.

როგორც გაირკვა, მუზეუმის ოქროს ფონდის საცავებში არსებული 10 ათასზე მეტი უნიკალური ნივთი 70-იანი წლებიდან მოყოლებული ლითონის კარადებსა და სტელაჟებზე ინახებოდა, რაც უძველესი ექსპონატებისთვის დამღუპველია. ამას ადასტურებს მუზეუმის საგანძურის განყოფილების გამგე გიორგი გაგოშიძეც. მისი თქმით, ეს კარადები აუცილებლად ხისგან უნდა იყოს დამზადებული, ხოლო მასალა სათანადოდ გამომშრალი. სწორედ ამისთვის გახდა აუცილებელი ხარაგაულის რაიონში ამ სახლების ყიდვა.

ექსპერტების განცხადებით, დღეიდან ოქროს ფონდში დაცულ ექსპონატებს საფრთხე აღარ ემუქრება, რადგან კარადები თელისგანაა დამზადებული. ამ ხის ბოჭკო კი საერთოდ არ შეიცავს მავნე ზემოქმედების მქონე ნივთიერებებს.

# ბრიტანელი ხელოვანის და ქართველი მსახიობების ერთობლივი პროექტი

ნათია ვადაჭკორია

ბრიტანეთის საბჭოს და საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს მიერ ორგანიზებული შეხვედრები "რაინერის კაფეში" სულ უფრო და უფრო ტრადიციულ ხასიათს იღებს. ოქტომბრის პირველი პარასკევის სტუმარი გახლდათ ბრიტანელი მსახიობი ანდრეა ბრუკსი. ქალბატონი ანდრეას ინტერესი საქართველოს მიმართ, შეიძლება ითქვას, ძირძველია. ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში სწავლისას, როცა მისი თანატოლები სხვადასხვა ქვეყნების ისტორიით ინტერესდებოდნენ, ანდრეა პატარა საქართველოთი, მისი რუქით და ისტორიით დაინტერესდა.

მისი ნამდვილი გატაცება საქართველოთი კი მაშინ მოხდა, როდესაც იგი 1997 წელს პირველად ეწვია თბილისს ფესტივალ "საჩუქრის" წყალობით. ასევე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე 1980 წელს ლონდონში ჩასულმა რობერტ სტურუამ და მუშაობამ შექსპირის "რიჩარდ მესამეზე".

გარდა ხელოვნებისა, ბრიტანელი თეატრალი მოხიბლულია ქართული კერძებით, იმერული ხაჭაპურით, ღვინით და ჭაჭით (უნდა გაგიმხილოთ, რომ ანდრეა ბრუკსი მის მიერ მოწოდებულ კერძებს მშვენივრად გამოთქვამს ქართულ ენაზე).

საერთოდ ანდრეა ბრუკსი ლონდონის დრამატულ ცენტრში მუშაობს და ამასთანავე აქვს საკუთარი კომპანია - ZYGO ARTS, რომელიც 2002 წელს დაარსდა. მისი თეატრალური კომპანია ჟურნალ "ტაიმ აუტის" მიერ დაჯილდოვდა, ხოლო "გარდიანმა" მას ხუთი ვარსკვლავი მიანიჭა.

ამჯერად, ანდრეა ბრუკსი თბილისში შემოქმედებითი ვიზიტით იმყოფება. მისი და ბრიტანეთში მცხოვრები დავით პაპავას ძალისხმევით, სულ მალე მიხეილ თუმანიშვილს სახელობის კინომსახიობთა თეატრში რუსი დრამატურგის - ტატიანა ტოლსტაიას პიესას "წრე" დაიდგმევა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართველები - გიორგი ნაკაშიძე და თეა კიწმარიშვილი, რუსი და ბრიტანელი არტისტები. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ანდრეა ბრუკსს ორიგინალობა უყვარს და სპექტაკლი სიბნელეშიც დაუდგამს, ალბათ, ძალიან საინტერესო დადგმას უნდა ველოდოთ.

სავარაუდოდ, ოქტომბრის ბოლოს კინომსახიობთა თეატრში მოხდება სპექტაკლის რეჟისორების, მსახიობების და თეატრალური საზოგადოების შეხვედრა, რათა ერთმანეთს შთაბეჭდილებები გაუზიარონ დადგმის ავ-კარგიანობის შესახებ.

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება

**საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" შესაბამისად, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაადგინა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიცირების წესი.**

**სერტიფიცირება ხორციელდება გამოცდის გზით, გამოცდა - ტესტური მეთოდით.**

**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აგრძელებს გამოცდაში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღებას.**

**მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:**

**- განცხადება გამოცდაზე დაშვების შესახებ (განცხადება შეივსება ადგილზე);**

**- საშუალო ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი საბუთი (ატესტატის ან დიპლომის ასლი);**

**- ავტობიოგრაფია;**

**- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;**

**- ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით 3X4.**

**საბუთები მიიღება 2005 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით, ყოველდღე გარდა შაბათ - კვირისა, 11-დან 18 საათამდე, შესვენება 13-დან 14 საათამდე. შემდეგ მისამართზე: რუსთაველის გამზირი #29. პირველი სართული.**

**გამოცდა იწყება 5 ნოემბერს.**

**გამოცდის ჩაბარების მსურველთა რაოდენობის გათვალისწინებით, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უფლება აქვს გამოცდა დაყოს ეტაპებად, რის შესახებაც გაცნობებთ დამატებით.**

**საგამოცდო ფურცელი გაიცემა 31 ოქტომბრიდან 4 ნოემბრის ჩათვლით.**

**გამოცდაზე დასწრების მსურველი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები აკრედიტაციისათვის უნდა დაგვიკავშირდნენ 26 ოქტომბრამდე.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ ნომრებზე:**

**ტელ: 987005; 987010; 988342; 923198:**

**დებულება "საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების შესახებ" და საგამოცდო ტესტები იხილეთ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ- გვერდზე: www.cec.gov.ge.**

**შენიშვნა: პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ საოლქო საარჩევნო კომისიების დასაკომპლექტებლად გამოცხადებულ ღია კონკურსში, შემოიტანენ მხოლოდ განცხადებას.**

**ტესტებში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, გთხოვთ გვაცნობოთ აღნიშნულის თაობაზე 28 ოქტომბრამდე.**

## იუსტიციის სამინისტროს ინფორმაცია

**გაზეთის "24 საათი" 2005 წლის 27 სექტემბრის ნომერში იუსტიციის სამინისტროს მიერ სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში შეტანილი ცვლილებების შესახებ**

გაზეთის "24 საათი" 2005 წლის 27 სექტემბრის ნომერში სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში შეტანილია შემდეგი ცვლილებები:

1. პირველ ლოტში მითითებული სამუშაოს შესრულების ადგილი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: **"ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ.N34. საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის შენობა".**

2. მესამე ლოტი ამოღებულია.

3. საკვალიფიკაციო მონაცემების ჩამონათვალიდან ამოღებულია:

ა) იურიდიული პირებისათვის: "5. შესაბამისი ლიცენზია".

ბ) ფიზიკური პირებისათვის: "6. შესაბამისი ლიცენზია".

ნოდარ ლადარია

არ გეგონოთ, ჩემს პირად პრობლემებს გახვევდეთ თავზე — უბრალოდ, გარემო სინამდვილეში ისე ვართ ჩართულნი და თვით სინამდვილეც იმდენად შემჭიდროვებულია, სად რა ამოჰყოფს თავს, როდის რა გადაებმება მოულოდნელი ასოციაციური კავშირით, წინასწარ არასოდეს ვიცით. ერთი სიტყვით, როცა ზუსტად ერთი თვის წინ, 10 სექტემბერს, შუაღამით, ჩემს ბინაში ბანდიტები შემოვარდნენ, ჩემი ერთი შვილი ტელევიზორს უჯდა და "ფსიქოს" უყურებდა. მოგვიანებით, როცა იგი უკვე პირქვე იწვა იატაკზე და გვერდზე ჟანგიანი სატევარი ჰქონდა მიბჯენილი, სატევრის მფლობელმა ნაძირალამ, სრულიად ულოგიკოდ, უაზროდ და თითქმის უმისამართოდ წარმოთქვა: **"აუ, სხვაგან გადართე!"**.

რამდენიმე დღის შემდეგ ამაზე საუბარი დამშვიდებით შეგვეძლო და მაშინ წარმოიშვა შეკითხვა: გამოიწვევდა თუ არა მსგავს რეაქციას რომელიმე *რეალიტი შოუ*, მაგალითად, "ამტანის" მაგვარი, ან სხვა, თუნდაც სადმე "ნორმალურ" ქვეყანაში ნაყიდი და გადმოქართულებული, ანუ ისეთ მდგომარეობამდე დაყვანილი, როცა მაყურებელი ეკრანზე ხან მლვიძარე შიშველ მამაკაცებს ხედავს, ხანაც მძინარე ჩაცმულ ქალებს? ამ კითხვაზე პასუხი, როგორც ეტყობა, უარყოფითია: არა, არც *რეალიტი შოუ* და არც ქართული ტელევიზიის სხვა რომელიმე გადაცემა სხვის ბინაში შეჭრილ, ჟანგიანი სატევრით შეიარაღებულ არაკაცს ისე არ გაალიზიანებდა, როგორც "ფსიქო". და აი, ჩვენი სულიერი იდენტობის ეს ბოლო სვეტიც წააქციეს...

რა თქმა უნდა, არავინ და არაფერია სრულყოფილი. მეც მრავალჯერ მიფიქრია, რომ ბოლო დროს საზოგადოებრივ განწყობებზე ამ გადაცემის გავლენა შესუსტდა და მას განახლება სჭირდებოდა, ვგრძნობდი რომ შინაგანი არსის გასამყარებლად მის გარეგან სახეში რაღაც ძლიერი შემოქმედებითი ჩარევა იყო საჭირო. ეს გადაცემის ავტორისთვისაც არაერთხელ მითქვამს ხუმრობით და სერიოზულად.

მაგრამ რაც არ უნდა ყოფილიყო, "ფსიქოს" ღვაწლი ჩვენს მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში სრულიად განუზომელია. და ეს ღვაწლი არ ძევს წარსულში: "ფსიქოს" მნიშვნელობა მეტად ძვირფასი და საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის სასიცოცხლო თვისებით გამოიხატება — ის თითქმის ერთადერთი იყო ჩვენს სინამდვილეში, რაც არჩევანს ქმნიდა.

ამ იდეის გასაგებად ცოტა უკან უნდა დავიხიოთ. არა, პოზიციები კი არ დავთმოთ, არამედ ოდნავ შორიდან შევხედოთ საკითხს. მახსოვს, ვოლგისპირა ქალაქ დუბნაში, ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტში მუშაობისას ერთი ჩემი ქართველი კოლეგა, რომელიც ახლომდებარე სოფლიდან ჩამოსულიყო, იჯდა და ბუზღუნებდა: "ბაზარში შევიარე, ახალ ხორცს ჩამოვიტან-მეთქი... ეგენი ხომ აზრზე არ არიან, თევზივით დაუჭრიათ ღორები, განივად". რამდენიმე წლის შემდეგ **უმბერტო ეკოს** ერთი ინტერვიუ წავიკითხე, სადაც იტალიელი მწერალი და მეცნიერი ამბობდა, რომ სხვადასხვა კულტურებში დაკლულ საქონელს სხვადასხვანაირად ჭრიან, მართლაც, ხორცის დახარისხების ლამის უთვალავი მეთოდი შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ერთი უეჭველია: ხბოს ან ღორის სხეულს ვერ დაჭრი *ნებისმიერად*, რადგან ყოველ ორგანიზმს აქვს სტრუქტურა, ესე იგი, წინააღმდეგობის ბუნებრივი მიმართულებები და საზღვრები. ასევეა საზოგადოება: როგორც ცოცხალ ორგანიზმში ან თუნდაც არქიტექტურულ ნაგებობაში, მასში აუცილებლად უნდა არსებობდეს წინააღმდეგობის მიმართულებები, სტრუქტურული საყრდენების სისტემა, აუცილებლად უნდა იყოს გადაულახავი წყალგამყოფები ადამიანთა ჯგუფებს შორის — არა სოციალური უსამართლობის გასაპარპაშებლად, არამედ იმისთვის, რომ ღირსების გრძნობა განვითარდეს და, ბოლოს და ბოლოს, გამოვიდეს ოჯახის, "სანათესაოს", "სამეგობროსა" და "სასტავის" ფარგლებიდან, რაც ასე საეჭვოდ ჰგავს პირველყოფილი ტოტემიზმისთვის დამახასიათებელ ვითარებას და გვაფიქრებინებს, რომ ტელეკომპანია "იმედის" ერთი ბოლოდროინდელი პროექტის სათაური — "გვაროვნული წყობილება" — სულაც არაა ხუმრობა.

სწორედ ამგვარი სტრუქტურული სიმყარის შემომტანი იყო ჩვენს ცხოვრებაში გადაცემა "ფსიქო". თვით მის გარშემო ატეხილი ურიცხვი სკანდალი მოწმობდა, რომ ქართველების საზოგადოებად ფორმირების პროცესი თუმც სუსტად, მაინც მიმდინარეობს. "ფსიქოს" გაქრობა ეკრანიდან მხოლოდ არჩევანის ახალი შესაძლებლობის დაბადებით იქნებოდა გამართლებული, მაგრამ წლების განმავლობაში ჩვენმა კულტურამ სტრუქტურული საზღვრების გასავლებად, სოციალური ჩონჩხის გასამაგრებლად სხვა ვერაფერი შექმნა.

რა გვრჩება? — "ამტანი", "ალავერდი", "ბარი" ... "ბარი", "ალავერდი", "ამტანი" ... "ამტანი", "ალავერდი", "ბარი". როგორ განვლაგდეთ ამ სივრცეში? რა ნიშნით დავეწყოთ? განლაგება და წესრიგი, დახარისხება და ფუნქციური უთანასწორობაა ცივილიზაციის (ოჰ, როგორ გვიყვარს ეს სიტყვა!) ერთადერთი და აუცილებელი ნიშანი და არა ის, რამდენ გადაცემას და რამდენად ვიყიდით შვედეთსა თუ საფრანგეთში.

იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ მე ახლა "მფრინავ სპილოებზე" ვმსჯელობ? — ეს "თავისუფლების ინსტიტუტიდან" ხელისუფლებაში მოხვედრილთა საყვარელი მხატვრული სახეა. სულაც არა, ბატონებო. აბა, თუნდაც ეს მაგალითი განვიხილოთ...

6 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა ხელმოუწერელი მასალა სათაურით *საგამოძიებო მოქმედება ჟურნალისტების თანდასწრებით*. ყველამ იცის პარლამენტარ **გოჩა ჩახვაძის**, უფრო სწორად კი მისი მეუღლის, **ეთერ ჭუმბურიძის** საქმე, რომელშიც ეს უკანასკნელი ეჭვმიტანილს წარმოადგენს. საგაზეთო მასალიდან ირკვევა, რომ 5 ოქტომბერს ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება (გამომძიებლებმა ეჭვმიტანილის დალუქული ჩანთა გახსნეს), რომელზედაც საგანგებოდ მოიწვიეს ადვოკატები და (!) ჟურნალისტები. ადვოკატებმა ღონისძიების ეს ბოლო პუნქტი გააპროტესტეს, უკანონობის გამო. ეს მათი კომპეტენციის საქმეა და მე საპროცესო დეტალებს არ შევეხები. სხვა რამ მაშფოთებს: რა იყო ჟურნალისტთა მოწვევის მოტივაცია? — ამის ახსნა ერთადერთია: საზოგადოებაში არ არსებობს სტრუქტურული და ფუნქციური გამიჯვნა, არ არსებობს ამა თუ იმ ჯგუფის დანიშნულების შეგნება, არ არსებობს იმის მკვეთრი გაცნობიერება, რას უნდა ველოდეთ ერთმანეთისგან, როგორ უნდა მოვიქცეთ ამა თუ იმ ვითარებაში და როგორი შეიძლება იყოს სხვადასხვა ქცევის სავარაუდო შედეგები.

**"ძმა ხუთ თუმნად გავყიდო, ბიძაშვილია?"** — კითხულობდა **თენგიზ ჩანტლაძის** მიერ განსახიერებული ლუარსაბ თათქარიძე და სიცილით ვიფხრიწებოდით. კარგად ვიცით, რამდენად იყიდება ძმა, რამდენად — ბიძაშვილი. ოჯახით და ნათესავებით იფარგლება ჩვენი საზოგადოებრივი ალღო. საკმარისია დაისვას შეკითხვა — რა ფუნქცია აკისრია საზოგადოებაში ჟურნალისტს და, საერთოდ, მედიას? — რომ ცხვირწინ გადაულახავ კედელს ვგრძნობთ. არა, სიტყვებით კი, იცოცხლე, ქვეყნას დავანგრევთ, მაგრამ პრაქტიკულად? პრაქტიკულად პროკურატურაში იბარებენ პრესას, ტელევიზიაში აჩვენებენ ოპერატიულ მასალას და ამას გამჭვირვალებას უწოდებენ!

რატომ ხდება ასე? ოჰ, ბევრი, ძალიან ბევრი მიზეზის გამო. თუნდაც იმიტომ, რომ საზოგადოებრივი ინსტიტუტები ჩვენში მუქთადაა ნაშოვნი და არა ბუნებრივად, დაუღალავი შრომის ფასად გამომუშავებული. აი, ისევე, როგორც არსებობენ ქართველი "მემარჯვენეები", "კონსერვატორები", "ლეიბორისტები", "ქრისტიანი დემოკრატები" თუ სხვა ვინმე (რატომ "გველფები" და "გიბელინები" არა?). საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, არტეფაქტებს, კულტურის მოვლენებს ჩვენში ისევე ექცევიან, როგორც **ივანე კრილოვის** მიერ აღწერილი მაიმუნი — სათვალეს. მაიმუნმა შემთხვევით იპოვა ნივთი, რომელიც მის სამყაროში არ შედის. ასევე შემთხვევით მოხვდა ზოგიერთი ქართველის ხელში ტელეარხები და სხვა მედიასაშუალებები. ამიტომაც შეიძლება არ დაფიქრდე და ეთერიდან მოხსნა "ფსიქო" — აქ ვერ გიშველის ვერც ინგლისური და ვერც სხვა რამ განათლება, რადგან მის მონელებასაც სისხლის ერთგვარი სიწმინდე სჭირდება, რომელიც დაბადებით კი არ მოიპოვება, არამედ საკუთარ თავზე განუწყვეტელი მუშაობით.

არა, ნამდვილად არაა "ფსიქოს" გაუქმება "მფრინავი სპილო". ამ ეგზოტიკურ ცხოველს უფრო ეროვნული ერთიანობის ჩვენში გავრცელებული კონცეფცია ჰგავს, რომლის თანახმად მით უფრო ერთიანები ვიქნებით, რაც უფრო მეტად დავემსგავსებით ერთმანეთს. საოცარია! — საქართველო უკვე თხუთმეტი წლის განმავლობაშია დამოუკიდებელი და დღემდე თავს მთლიან საზოგადოებად კი არა, ერთ სოციალურ ჯგუფად გრძნობს. აი, თუ გნებავთ, დააკვირდით, რა სიტყვები ისმის ხოლმე, როცა საქმე ეხება ფესტივალს "ჩვენებურები" — აუცილებლად უნდა დააყოლონ, რომ კულტურული ერთიანობა აუცილებლად უნდა დაგვირგვინდეს ფიზიკური ერთიანობით. რას ნიშნავს ეს "ფიზიკური ერთიანობა"? — თავის დროზე **ნიკოლაი გოგოლის** ჩიჩიკოვს ჰკითხეს, გლეხებს მიწიანად ყიდულობ თუ გამოყვანითო? ალბათ ეს იგულისხმება და მაშინ გამოდის, რომ, უბრალოდ, რუსეთის გულის გასახარად ნერვებს უშლიან თურქეთს. ვინ იცის, რატომ? — რომელი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი აგვიხსნის ამას, რომელი ყოფილი დიპლომატი თუ "კეგებეშნიკი" გაგვიმარტავს? დავრჩებით ასე უმეცრებაში და ახია ჩვენზე.

მადლობა ღმერთს, იშვიათად, მაგრამ მაინც ჩნდება არჩევანის შესაძლებლობაზე მიმანიშნებელი მოვლენები. აი, თუნდაც ისევ 6 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილი სტატია *რუსული თვითიზოლაციონიზმი და ერთმორწმუნეობის ილუზია*. სტატიის ავტორები არიან **დავით ამირეჯიბი** და **ლელა ნიორაძე**. ტექსტი გამოუცდელი კალმითაა ნაწერი, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს: მე მთლიანად ვეთანხმები მის ავტორებს და ეს თანხმობა იმით მინდა გამოვხატო, რომ ქვემოთ მხოლოდ ჩემს მიერ რედაქტირებულ ციტატებს მოვიყვან.

სტატიის დასაწყისში ავტორები პირდაპირ აცხადებენ, რომ ქართველი საზოგადოება ეგზისტენციურ კრიზისშია (იხ. ზემოთ). ამ კრიზისის ერთ-ერთ მიზეზად დასახელებულია რუსეთის იმპერიული პოლიტიკა. ჯერ-ჯერობით ყველაფერი ნაცნობი სცენარით მიმდინარეობს: მსგავსი რამ ბევრჯერ მოგვისმენია. მაგრამ სულ მალე ნათელი ხდება, რომ ტექსტში განიხილება ამ პოლიტიკის საეკლესიო ასპექტი და შემდეგ დაუფარავად ისმის კითხვა: **"რას ზეიმობს რუსული მართლმადიდებელი ეკლესია ცხინვალში?"**. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საქართველოს საპატრიარქოს დღემდე არ ეყო სიმამაცე. პასუხი კი საკმაოდ მკაფიოა: **"რუსეთის ეკლესია ცხინვალსა და აფხაზეთში ნერგავს მტრობას, ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირებას, სეპარატიზმს და აფხაზებისა და ოსების ხელით ცდილობს რუსული, იმპერიული, ერთობ არაქრისტიანული მიზნის — ქართული მიწის საბოლოო ანექსიისთვის მორალურ-ფსიქოლოგიური საფუძვლების შემზადებას"**. ნუთუ ამდენი წლის გამოცდილება საკმარისი არ იყო მათთვის, ვისაც ამ მიმართულებით გარკვეული გადაწყვეტილების მიღება შეუძლია და ევალება? ან იქნებ ვინმეს ეჭვი ეპარება — არა, ჩვენი ერთმორწმუნე ძმები ამას არ იზამდნენ! აი, ცნობები უკრაინელი მეცნიერის, ლვოვის ეროვნული უნივერსიტეტის დოცენტის, **ანდრია იურაშის** ერთი გამოკვლევიდან, რომელიც სულ მალე ქართულ ენაზე გამოქვეყნდება: მაშინ, როცა უკრაინელი ხალხი თავისუფლების არჩევანის წინაშე იდგა, მოსკოვის საპატრიარქო ყველა ღონეს ხმარობდა, რომ ეს ქვეყანა არ გასცილებოდა რუსეთის პოლიტიკური დიქტატის სფეროს: 2004 წლის 18 ნოემბერს, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინა საღამოს კიევში მასობრივი ლიტანიობა ჩატარდა. ჩამოდიოდნენ დელეგატები უკრაინის ყველა ეპარქიიდან, რისთვისაც საეპარქიო მღვდელმთავრები იღებდნენ 15 ათას აშშ დოლარს, ხოლო სამრევლო მღვდლები — 200 უკრაინულ გრივნას (დაახლოებით, 40 დოლარს — იგრძენით განსხვავება?). ლუგანსკის ეპარქიამ სპეცრეისით კიევამდე უფასოდ გაამგზავრა იანუკოვიჩის მომხრეებით სავსე 22 ვაგონი. აქციის მონაწილეთა შორის ერთობ პოპულარული იყო შემდეგი ლოზუნგი: "ჩვენი რწმენა და სასოება არ მისცემს ანტიქრისტე იუშჩენკოს არჩევნებში გამარჯვების საშუალებას!". მოსკოვური იურისდიქციის სამღვდელოება, ოპოზიციის მხარდამჭერებს რომ არ შეენიშნათ, ანაფორების ქვეშ მალავდა პროპაგანდისტულ მასალებს და ჯვარზე სამთხვევად არ უშვებდა მორწმუნეებს, სანამ არ დაიფიცებდნენ, რომ ხმას იანუკოვიჩს მისცემდნენ.

უკრაინელ ხალხს ეყო ერთსულოვნება, რომელიც საბოლოოდ იმაში გამოიხატა, რომ ახლა უკრაინის ავტოკეფალური, ესე იგი რუსეთისაგან დამოუკიდებელი ეკლესიის შექმნა საერთო ეროვნული საქმის დონეზეა აყვანილი. უკრაინაში ადვილია: საკითხის ფორმალური მხარე მთლიანად გადაწყვეტს მას. ჩვენში კი ძნელია: ფორმალური ავტოკეფალია არაფერს ნიშნავს, რადგან არ არსებობს სულიერი მიმართულება, დამოუკიდებლობის ნება.

"24 საათის" მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში კი ავტორები წერენ: **"ჩვენი ეკლესია ქართულ საზოგადოებასთან ერთად, ვალდებულია, ხმა აღიმაღლოს მართლმადიდებელი სამწყსოს დასაცავად, ამხილოს ანტიადამიანური პოლიტიკა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში"**. მართალია, მაგრამ რა ქნას საზოგადოებამ, როცა ჯერ საკუთარი თავი არ გაუცნობიერებია ასეთად? როცა მისი პოლიტიკური პერსონალიები თავიანთი ეროვნული კუთვნილების უმთავრეს პირობად იმ ეკლესიის უპირობო მორჩილებას ასახელებენ, რომელიც თვითონ უპირობოდ ემორჩილება რუსეთის მმართველ მარჯვენას? როცა მთელი დემოკრატიული ძალები ერთხმად ყვირიან მედიის მიმართ სასტიკი ცენზურის არსებობაზე, მაგრამ ოდნავ ღრმა გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდება, რომ მთელი ცენზურა ამოიწურება **გიგა ბოკერიას** ერთი როყიო წამოძახილით რომელიმე ტელევიზიის პირდაპირ ეთერში? ერთი სიტყვით, რა ქნას საზოგადოებამ, რომელსაც არ გააჩნია არავითარი სტრუქტურული საზღვრები?

ვერაფერსაც ვერ იზამს, ბატონებო! მუდამ დარჩება სხვისი ხელისა და ნების შემყურე, მუდამ იპარპაშებენ ერთეულები - ვინც პირველი მოასწრებს, ვინც ერთი მისხალით მეტ თავხედობას გამოიჩენს, ვინც შეამჩნევს, რომ ყველა წესს, სინდისის ყველა მოთხოვნას შეიძლება თავისუფლად გადააბიჯო, ოღონდ ხმამაღლა არ აგინო.

განა ამასვე არ ამბობენ ჩვენი ავტორებიც? - მათი აზრით ქართული საზოგადოებრივი ელიტა **"ირჩევს იმ ორიენტაციას, რომელიც მეტ გარანტიებს მისცემს ნეტარების გასახანგრძლივებლად, საკუთარი ქვეყნის ნგრევის, ანუ იმ საქმიანობის ფასად, რომელსაც არ სჭირდება დაფიქრება, არც ნიჭი, არც დიდი გარჯა და განათლება, საკმარისია ისეთი თვისებების განვითარება, როგორებიცაა უზნეო ზნეობა, ურწმუნო რწმენა, კაცთმოძულე ჰუმანიზმი, ქვეყნის მოძულე პატრიოტიზმი, სნობიზმი, ცინიზმი, მლიქვნელობა და სხვა"**.

ამის შემდეგ კი ერთ მეტად ნიშანდობლივ სიტყვებს ვკითხულობთ: "საქართველოს **ეკლესიას შესწევს ძალა, თავისი ჭეშმარიტი, კეთილშობილი ბუნებისა და ხელთუქმნელი შინაგანი არსის წარმოჩენის, მასზე საუკუნეების მანძილზე გარედან თავსმოხვეული იზოლაციონისტური იდეოლოგიისგან გათავისუფლებისა**". სამწუხაროდ, ეს სიტყვები მხოლოდ რიტორიკული ხერხია. ხანდახან სუფრასთან მჯდომი თავაზიანი ადამიანი მოგმართავს: მარილს ხომ არ მომაწოდებდით? სრულიად უმეცარი უნდა იყო საზოგადოებრივი ქცევის საკითხებში, რომ ეს თხოვნა უბრალო შეკითხვად აღიქვა. ავტორებიც ტაქტიანად, ფაქტის კონსტატაციის სახით გვაპარებენ მოთხოვნას: "შესწევს ძალა" ასე უნდა წავიკითხოთ: "გეყოს ძალა!". მაგრამ საზოგადოებაში, სადაც ხელის ერთი მოსმით ეთერიდან ხსნიან უნიკალურ გადაცემას, სადაც წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, რისთვის არსებობენ ჟურნალისტები, სადაც საზოგადოებრივი ინსტიტუტების უმრავლესობა მიბაძვითა და წამხედურობითაა შექმნილი, დიდი ალბათობაა, რომ ამ მოთხოვნასაც უბრალო თხრობით წინადადებად მიიჩნევენ და არხეინად განაგრძობენ მხართეძოზე წოლას.




ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



meri popinsi
1997 წლიდან



- ძიძები
- აღმზრდელები
- დამლაგებლები
- მზარეულები
- მოხუცებისა და ავადმყოფების მომვლელები

ვებ გვერდი: www.marypoppins.ge
ტელ: 44 34 60, 877 44 34 50

ყურადღება!
რესტორანი
"დაკარგული სამოთხე"
რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინის (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.
ტელ. 999-207

უცხოელი მეგობრები გყავთ?
რა შეკითხვები აღარ უჩნდებათ მათ საქართველოს შესახებ!
ლაკონიური, შუქრდილიანი და მართალი პასუხები ამ კითხვებზე ახალგაზრდა რეჟისორის
ლელა ბერიძის ფილმში
"კავკასიური ცარცის წრე მეგობრებისთვის"
7 ოქტომბრიდან კინოთეატრ "ამირანის"
მცირე დარბაზში (19.30)
გაიხსენე თავად! აჩვენე მეგობრებსაც!




მოსწავლეთა საყურადღებოდ!
საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი
"მზიური"
აცხადებს მოსწავლეთა მიღებას
პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფებში
მიიღებიან V - XI კლასების მოსწავლეები
მისამართი: დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) N70
91-03-17; 95-45-75




შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოხატო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ----------
მისამართი ----------
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი ----------
დაბადების თარიღი ----------
სკოლა ----------
კლასი ----------
დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომერი ----------
მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ----------
მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ----------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი   უ ფ ა ს ო ა



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

1 – 14 [illegible]